პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 231 (20572) ✦ შაბათი, 7 ოქტომბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 4 ოქტომბერს გამართულ მორიგ სხდომაზე განიხილა ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის შედეგები. განხილვის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, აღინიშნა, რომ პლენუმის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა გარდაქმნის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის გზაზე. მან მხარი დაუჭირა პარტიის, მთელი საზოგადოება...

და კონსტრუქციულად უნდა განვიხილოთ თანამედროვე პირობებში პარტიის ცხოვრებისა და საქმიანობის პრობლემათა მთელი სპექტრი.

ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა განხორციელდეს დიდი შემოქმედებითი მუშაობა ყრილობისწინა დოკუმენტების, უწინარეს ყოვლისა, სკკპ პოლიტიკური პლატფორმის და პარტიის ახალი წესდების მომზადებისას იმის გათვალისწინებით, რომ ეს უნდა იყოს დოკუმენტები, რომლებიც მოასწავებს სერიოზულ წინგადადგმ...

მარეობას და გარდაქმნის ამოცანებს.

ამასთან დაკავშირებით განიხილეს პარტიის ცენტრალური არჩევითი ორგანოების შემადგენლობაში შემავალ მუშათა და კოლმეურნეთა ჯგუფთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის შედეგებიც.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სომხეთის სს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის სამუშაოთა მიმდინარეობა. უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა სომეხ ხალხს, გამოეხმაურა ყვე...

ებით აღინიშნა სსრ კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის საფუძვლების შესახებ სახელმწიფოთა მეთაურების მიერ ხელმოწერილი განცხადების პრინციპული მნიშვნელობა. მ. ს. გორბაჩოვსა და სუხარტოს შორის გამართული კონსტრუქციული აზრთა გაზიარება შეესაბამება არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ინტერესებს, არამედ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და საერთოდ მსოფლიოში ვითარების გაჯანსაღების ამოცანებსაც...

...

ტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, მთელი საზოგადოების ... ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ შინაპარტიული კავშირურთიერთობა, ცოცხალი კონტაქტები ადამიანებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ...

ყველა უბანზე, საქმის მდგომარეობისათვის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერება. ამასთან დაკავშირებით ყურადღება დაეთმო იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკადრო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება საზოგადოების ახლანდელ მდგო...

...დროს მიღწეული მორიგებანი ახალ თვისებრივ პარამეტრებს ანიჭებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. გადაიდგა დიდი ნაბიჯი, რომელიც განსაზღვრავს მის შემდგომ განვითარებას ყველა მიმართულებით ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. ამასთან დაკავშირ...

...მხრივი ურთიერთობის საკვანძო პრობლემებზე. მხარეების პოზიციებში მთელი რიგი არსებითი განსხვავებების მიუხედავად, მათს პოლიტიკაში მკვიდრდება ევროპისა და მსოფლიოს საქმეებში მიდგომების ურთიერგათვალისწინებისადმი ტენდენცია, მისწრა...

...წონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მიერ გაწეული მუშაობა. მიღებულია გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს იმ პრაქტიკული ღონისძიებებისა და მორიგებების განხორციელებას, რომლებიც დათქვეს თათბირზე.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

ამ კვირის სამი დღე დაეთმო კომიტეტებისა და კომისიების მუშაობას. 5 ოქტომბერს სხდომები მიმდინარეობდა მრავალ მათგანში. უამრავი გადაუდებელი საქმეა. გეგმა და ბიუჯეტი, ეკონომიკური რეფორმის პრობლემები, მიწის, ადგილობრივი საბჭოების მატერიალური მომარაგების შესახებ კანონპროექტის განხილვა — ყველა ეს პრობლემა გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს. საკდესის კორესპონდენტები ცდილობენ არ გამოტოვონ არც ერთი სხდომა.

* * *

**ქალების, ოჯახის დედისა და ბავშვის დაცვის საქმეთა კომიტეტი.** სამუშაო სხდომა დაიწყო მომავალი ხუთწლეულისათვის შესამუშავებლად შემოთავაზებული კანონპროექტებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების გეგმის დამტკიცებით. ეს პერსპექტიული...

...სხდომაზე. გადაწყდა, რომ მოისმენენ მხოლოდ ინფორმაციას, ხოლო განხილვას გადაიტანენ მომავალი სხდომისათვის.

მომხსენებელს არ დაუხატავს ვარდისფერი სურათები, მან მიუკიბ-მოუკიდავად აღიარა, რომ მრავალი ადგილობრივი საბჭო, განსაკუთრებით სასოფლო და სადაბო, ცუდ, თუ არ ვიტყვით, ღატაკურ მდგომარეობაშია. ისინი ხშირად შეყუჟული არიან ავარიულ შენობებში, არა აქვთ თავიანთი ტრანსპორტი, უმისოდ კი, როგორც იტყვიან ხელფეხშეკრული არიან.

მან დამსწრეთ შეახსენა, რომ ყველა ამ საკითხის გადაჭრაში პრეროგატივა ახლა ეძლევათ რესპუბლიკებს. სხვა რეგიონებთან შედარებით, უკეთ არის საქმე ესტონეთში, მოლდავეთში, უკრაინაში, სადაც მეტი წილი აღმასკომები კარგ შენობებშია დაბინავებული. მაგრამ, კიდევ დაახლოებით 17 ...

...აგრარულ საკითხთა და სურსათის კომიტეტი განიხილავდა მიწის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების პროექტს. ის ფაქტი, რომ ანალიზისათვის შემოთავაზებული იყო არა მარტო „მთავრობის" ვარიანტი, არამედ ალტერნატიული პროექტებიც, მოულოდნელი არ ყოფილა. ძალზე დიდი კამათია ამ ბოლო ხანს მიწის პრობლემის ირგვლივ, რომელიც, მეტი წილი მეთვალყურეების აზრით, ძირითადია აგრარული საკითხის არსის თანამედროვე გაგებაში. შემთხვევითი არ არის, რომ ჯერ კიდევ ზაფხულში თავიანთ კომიტეტში სხდომების ძირითადი ნაწილი აგრარიკოსმა დეპუტატებმა მიუძღვნეს ამის თაობაზე წინადადებათა მომზადებას. შეგახსენებთ, რომ მაშინვე მათ პირწმინდად უარყვეს პროექტის თავდაპირველი სამუშაო ვარიანტი, რომელიც შემოტანილი იყო მთავრობის ყოფილი ორგა...

...

...ბის მუშაობის, მართვისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტი. მომხსენებელს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. ა. ვორონინს — მხოლოდ ორმოცი წუთი დრო ჰქონდა, რადგან იგი მიიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს...

...კომპლექსური განვითარების შესახებ, გვაწუხებს ისიც, რომ მოხსენებებში არ გაისმა იმ კანონების არავითარი, უარყოფითი შეფასებაც კი, რომლებიც შზადდება ახლა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. მე მგონი, ეს უწყებანი მათ ეკიდებიან როგორც რაღაც არც სულ მთლად რეალურს.

...ეული ვარიანტი იძლევა არცთუ ცოტა სხვა საბაბსაც დისკუსიის გასაღრმავებლად. გათვალისწინებულია მასალის ანალიზსა და საბოლოო რეკომენდაციების შემუშავებას დაეთმოს მნიშვნელოვანი დრო როგორც ქვეკომიტეტებში, ისე საერთო სხდომებზეც.

## გამოვიჩინოთ გულმოწყალება

**საბჭოთა** კავშირის გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა მიიღო მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ ბოლო დროს გართულდა ეროვნებათშორისი და სოციალური ურთიერთობა. იგი ხშირად იწვევს ქვეყნის მთელ რიგ ტერიტორიებზე სურსათ-სანოვაგით, სათბობით, მედიკამენტებით მომარაგების გაუარესებას, რაც ცხოვრების ნორმალურ პირობებთან შეუთავსებელია. სოციალური კონფლიქტების შედეგებისაგან ზარალდება, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად დაცული ნაწილი — ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები, წვრილშვილიანი ოჯახები.

საბჭოთა კავშირის გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი, აღნიშნულია მიმართვაში, მოუწოდებს იმათ სინდისსა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ვინც თავისი მოქმედებით, რითაც უნდა იყოს იგი ნაკარნახევი, უქმნის სიძნელეებს ადამიანებს, რომლებსაც უნარი არ შესწევთ დაიცვან თავი. (საქინფორმი).

### მოვლენათა ქრონიკა

**არის წლიური გეგმა!**

**რძის** წარმოების წლიური გეგმა შეასრულეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. საშუალოდ ერთ ძროხაზე რძის მიღების მაჩვენებელმა მიაღწია 2360 კილოგრამს. წლიური გეგმით გათვალისწინებული 38,2 ტონა ხორციდან წარმოებულია 30,8 ტონა.

▼▼

**პირველობას არ თმობენ**

**რუსთავის** მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივი ყველას უსწრებს ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის შეჯიბრებაში.

მიკროკოლექტივმა იანვარ-სექტემბერში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 1,2-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე 1988 წლის შესაბა...

...რულეს უხეში და კონცენტრული საკვების დამზადების წლიური გეგმები და ყველაფერს აკეთებენ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის.

მაგრამ ასე არ ითქმის ტაბაწყურის, ძირკულის, ცხრაწყაროს და სხვა სოფლების კოლმეურნეობების შესახებ, სადაც ნელი ტემპით მიმდინარეობს საკვების დამზადებისა და შენობა-ნაგებობათა დათბუნების სამუშაოები.

▼▼

**მედიკოსების სიმპოზიუმი**

**თუ** როგორ მოქმედებს თავის...

...შაობს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დირექტორმა, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პრორექტორმა, პროფესორმა ა. სიხარულიძემ. — ამ ეტაპზე ჩვენი გამოკვლევების მიზანია თავის ტვინისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ურთიერთკავშირის შესწავლა. დღეს სამეცნიერო ნამუშევრების შედეგები საშუალებას გვაძლევს პრაქტიკული რეკომენდაციები მივცეთ ექიმებს გულისა და ტვინის სტრუქტურასთან დაკავშირებული სისხლძარღვების დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ამის შესახებ ქართველი მეცნიერები მოხსენებებით წარსდგებიან ახლანდელ შეხვედრაზე.

სიმპოზიუმის ფარგლებში გაიმართება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის სამეცნიერო საბჭოს საპრობლემო ...

...

...ისათვის 150 სახლის მშენებლობის დაწყებამდე, როცა აქ სულ 15 ოჯახი ცხოვრობდა, ისინი სარგებლობდნენ ჯანმრთელობის დაცვის რაიონული ობიექტების მომსახურებით. ახალი ამბულატორია მთლიანად დააკმაყოფილებს გოლთეთის გადიდებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მოთხოვნას, ისევე როგორც მეორე სოფელ დურნუკის მცხოვრებლებისას, სადაც კიდევ ერთი საფერშლო-სამეანო პუნქტი აშენდა.

ამბულატორიების ქსელი რესპუბლიკაში ნიადაგ ფართოვდება.

7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

## ცხოვრებისა და გარდაქმნის მხარდამხარ

1977 წელს მიღებულ და ამჟამად მოქმედ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, ისევე როგორც მის წინამორბედ კონსტიტუციებში, აისახა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების, სოციალიზმის დამკვიდრების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ღრმა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები, ჩამოყალიბდა თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების, საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპები.

თანამედროვე პირობებში, როცა პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დაადგა გარდაქმნისა და განახლების კურსს, როცა კრიტიკულად ფასდება წარსულის მთელი მემკვიდრეობა და დღის წესრიგში დგას სოციალიზმის ახალი იერსახის, ჭეშმარიტად სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ამოცანა, ბუნებრივია შემდგომ სრულყოფასა და დაზუსტებას მოითხოვს ძირითადი კანონის დებულებები. და ახეთი მუშაობა მიმდინარეობს კიდეც. როგორც საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების გამოქვეყნებული პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ადასტურებს, ბევრი რამ ძველ კონსტიტუციებში მართლაც საკამათოა და შესაცვლელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის მიერ მიღებული პლატფორმა თანამედროვე პირობებში პარტიის ...

... აქვს გარდაქმნის ბედისა და ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. საქმე ისაა, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა სულ უფრო მეტად უგულებელყოფდა ეროვნული განვითარების მოთხოვნილებებს, ფერხდებოდა ყველაფერი — საწარმოო ძალების განლაგებით დაწყებული და ენის, განათლების, კულტურის პრობლემებით დამთავრებული, თანდათან ქრებოდა 1924 წლის კონსტიტუციით დამკვიდრებული კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენციის გამიჯვნა, სუვერენიტეტმა გარკვეულად ფორმალური ხასიათი მიიღო.

პლენუმზე ისიც ითქვა, რომ საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინური ეროვნული პოლიტიკის, კერძოდ, მისი ისეთი ფუძემდებლური პრინციპის თანამიმდევრულ განხორციელებას, როგორიცაა ერთა თვითგამორკვევის უფლება. ახლანდელი ეტაპი დღის წესრიგში აყენებს რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების უფლებათა მნიშვნელოვან გაფართოებას, წარსულში მომხდარ დამახინჯებათა აღმოფხვრას, ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას მოკავშირე რესპუბლიკების პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, მათი სუვერენიტეტის რეალური შინაარსით გამდიდრებისათვის.

ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ ფედერაციაში ურთიერთობის ახალმა ხასიათმა თავისი სამართლებრივი გარანტიები უნდა ჰპოვოს სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

მაშ ასე, დიად გარდაქმნათა რევოლუციური პროცესი გრძელდება, რაც თავის ასახვას პოულობს კავშირისა და რესპუბლიკის ძირითად კანონებში.



## მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან გაემგზავრა

**6 ოქტომბერს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიწვევით. იგი მონაწილეობას მიიღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 40 წლისთავის დღესასწაულში.

აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ა. ნ. იაკოვლევმა, ვ. ა. კრიუჩკოვმა, ე. კ. ლიგაჩოვმა, ვ. ა. მედვედევმა, ნ. ი. რიჟკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ა. პ. ბირიუკოვამ, ა. ვ. ვლასოვმა, ა. ი. ლუკიანოვმა, ე. მ. პრიმაკოვმა, ბ. კ. პუგომ, გ. პ. რაზუმოვსკიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ო. დ. ბაკლანოვმა, ა. ნ. გირენკომ, ი. ა. მანაენკოვმა, ე. ს. სტროევმა, გ. ი. უსმანოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში კ.-ხ. ფელბერგი.

* * *

**იმავე** დღეს მ. ს. გორბაჩოვი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა. ბერლინის შენეფელდის აეროპორტში საბჭოთა ხელმძღვანელს დახვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი. დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვ. ი. კოჩემასოვი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის აეროპორტში თავმოყრილი შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა ხელმძღვანელს.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად ზეიმზე ბერლინში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე ვ. მ. ფალინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე გ. ხ. შახნაზაროვი. (საკდესი).

**სურათზე:** აეროდრომზე გაცილებისას.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

## ცნობა

**1989 წლის 1 ოქტომბერს გამართული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალ დეპუტატთა არჩევნების შედეგების შესახებ**

**ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის საარჩევნო ოლქი**

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 4859 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 2173, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 44,72 პროცენტმა.. ბათილად ცნობილია 99 ბიულეტენი, ანუ 2,04 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს რომან რაჟდენის ძე გოცირიძეს ხმა მისცა 1349 ამომრჩეველმა, ანუ 27,76 პროცენტმა, წინააღმდეგ — 725 ანუ 14,92 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს კახა დავითის ძე ქორიძეს ხმა მისცა 516 ამომრჩეველმა, ანუ 10,62 პროცენტმა, წინააღმდეგ — 1558, ანუ 32,06 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატს თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძეს ხმა მისცა 186 ამომრჩეველმა, ანუ 3,83 პროცენტმა, წინააღმდეგ — 1888 ამომრჩეველმა, ანუ 38,86 პროცენტმა.

ამრიგად, № 24 ვახუშტი ბაგრატიონის საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნები არ გამართა, რადგან ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებმა.

**ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქი.**

ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 10959 კაცი, მათგან ხმის მიცემაში მონაწილეობა მიიღო 10360, ანუ ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 94,53 პროცენტმა. ბათილად ცნობილია 227 ბიულეტენი, ანუ 2,07 პროცენტი.

დეპუტატობის კანდიდატს ამირან შოთას ძე მაისურაძეს ხმა მისცა 2071 ამომრჩეველმა, ანუ 18,90 პროცენტმა, წინააღმდეგ — 8062 ამომრჩეველმა, ანუ 73,57 პროცენტმა.

...

## ცალკე გამოცემად

**გამოვიდა** ბროშურა „მ. ს. გორბაჩოვი. გარდაქმნა — პარტია — სოციალიზმი. სიტყვა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე კიევში, 1989 წლის 28 სექტემბერს".

ბროშურა გამოუშვა პოლიტგამმა. (საკდესი).

# დეპუტატები „ვეტოს“ ადებენ

ვინ არის გამკითხავი? ეს კლასიკური კითხვა გაისმა დეპუტატ ვ. ს. ადვაძის გამოსვლაში „მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის საერთო საწყისების შესახებ“ კანონის პროექტის განხილვისას. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების და ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეტალურად, თითქმის თითოეული მუხლის მიხედვით განმარტა ეს დოკუმენტი 5 ოქტომბრის სხდომაზე.

კითხვა წამოიჭრა იმ ტიპური სიტუაციის განხილვასთან დაკავშირებით, როცა საკავშირო სამინისტრო მოითხოვს, რესპუბლიკას კი ეს ხელს არ აძლევს. ვინ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება? ისევ ცენტრმა?

დოკუმენტში ზუსტი პასუხი ამაზე გაცემული არ არის და, არსებითად, თავიდან არ არის აცილებული უწყებათა დიქტატი. ძნელი იყო, არ დასთანხმებოდი მომხსენებლის მოსაზრებებს. მან ზედმიწევნით იცის პრობლემა, რადგან წარმოადგენს რესპუბლიკასაც, მეცნიერებასაც, მართვასაც — იგი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია. დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ვ. ს. ადვაძის აზრს და კიდევ უფრო მკაცრად დაახასიათეს შემოთავაზებული კანონპროექტი.

იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ ივნისში შეიმუშავა სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად. ასეთი ნაბიჯის მნიშვნელობა უდავოა: რეგიონების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე გარდაქმნა ვერ მოხერხდება. მაგრამ ჩვენი სწრაფმდინარე ცხოვრების პირობებში პროექტის მრავალი მუხლი უკვე მოძველდა. იგი ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ მიღებულ სკპ პლატფორმასაც კი არ ითვალისწინებს.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მონახაზში ლაპარაკია არა რეგიონების ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, არამედ მხოლოდ მათი უფლებების გაფართოებაზე. იტყობა, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სისტემას არ სურს დათმოს თავისი პოზიციები. დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ ამის თაობაზე ძალზე მკვეთრად ილაპარაკა, ის კი არა და, ახალ გადაწყვეტილებას „აპარატის თამაში“ კი უწოდა.

ცხარე დისკუსიის დროს კვლავ დაუბრუნდნენ აფორიზმს „ძლიერი ცენტრი — ძლიერი რესპუბლიკები“. მაგრამ ძლიერი ცენტრის დროს რესპუბლიკები ვერ იქნებიან აგრეთვე ძლიერნი: როცა მმართველობითი ფუნქციები თავმოყრილია ერთ ხელში, პერიფერია, რომელიც უსიტყვოდ ემორჩილება, სუსტი რჩება. უფრო ლოგიკური იქნებოდა, მივდრეკოდით ასეთ ურთიერთობას: „ძლიერი რესპუბლიკები — ძლიერი ქვეყანა, ძლიერი კავშირი“.

სხდომას დაესწრნენ ცენტრალურ უწყებათა წარმომადგენლები. მათი კონტრარგუმენტები, რომლებითაც ისინი ცდილობდნენ დაეცვათ თავიანთი მონახაზები, არ მიიღეს პარლამენტარებმა. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს ისიც კი ჰკითხეს, გრძნობს თუ არა მისი უწყება ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას?

კომისია ძალზე სერიოზულ, რთულ დოკუმენტს განიხილავდა. მიუხედავად ამისა, მიმდინარეობდა ცოცხალი, ალალი გასაგები სჯა-ბაასი, რომელიც ადასტურებდა ახალი კანონით თითოეულის დაინტერესებას. თათრეთის დეპუტატმა მ. ტ. მუხამეტზიანოვამ თქვა, რომ კანონპროექტი ბადებს ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ეკონომიკური მოდელის ასეთ სახეს. მასში ჰყავს თხუთმეტი ვაჟიშვილი (მოკავშირე რესპუბლიკები) და ასი შვილიშვილი (ავტონომიური ფორმირებები). ვაჟიშვილები მიდიან მამასთან, რათა სთხოვონ პალტოს საყიდელი სახსრები. შვილიშვილებს კი შეუძლიათ მხოლოდ პერანგის ფული მიიღონ. რომ არ იყოს ასეთი უთანასწორობა, დეპუტატის აზრით, საჭიროა კანონის მოქმედება გავრცელდეს ავტონომიურ რეგიონებზე.

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი არ გამოიტანონ სესიის განსახილველად. პარლამენტის კომისიებსა და კომიტეტებს უნდა დაევალოთ შეიმუშაონ ახალი, როგორც მათ თქვეს, კომპრომისული ვარიანტი.

**ლ. ერმაკოვა,**
საქდესის საპარლამენტო კორესპონდენტი.

# სამხედრო ხარჯები 1990 წელს

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტები და მისი პალატების კომისიები კვლავ განაგრძობენ სჯა-ბაასს დოკუმენტებზე, რომლებიც გამოტანილია პარლამენტის მეორე სესიის განსახილველად, მათ შორის ქვეყნის 1990 წლის სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვას. დეპუტატები პირველად იხილავენ მომავალ წელს სსრ კავშირის სამხედრო დანახარჯების შესახებ წინადადებებსაც. როგორია პროფესიონალი სამხედროს აზრი ბიუჯეტის ამ ნაწილში? ამ კითხვით საქდესის კორესპონდენტმა მიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველს, საბჭოთა კავშირის მარშალ ს. თ. ახრომეევს.**

— საბჭოთა სამხედრო ხარჯების შემცირება 1990 წელს 6,4 მილიარდი მანეთით შესაძლებელი და საჭიროა. ასეთი ნაბიჯი შეესაბამება სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას, სამხედრო დაძაბულობის შენელებას, სამომხმარებლო საქონლის გამოშვებაში თავდაცვის მრეწველობის როლის გადიდებას.

მოგაგონებთ, რომ ქვეყნის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ პარლამენტის განსახილველად გამოიტანა, ითვალისწინებს 1989 წლის 77,3 მილიარდი მანეთი სამხედრო ხარჯების შემცირებას 1990 წელს 70,9 მილიარდ მანეთამდე. ვფიქრობ, რომ ამ ციფრისთვისაც კიდევ ბრძოლაა საჭირო. როგორც ჩანს, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და კომისიებში შეიძლება გამოითქვას წინადადებანი თავდაცვისათვის ხარჯების მეტი შემცირების შესახებ.

ჩემი მხრივ, ქვეყნის მთავრობის მიერ 1990 წლისათვის შემოთავაზებული სამხედრო ხარჯები გააზრებულად მიმაჩნია. ისინი შეთანხმებულია სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან და მრეწველობის თავდაცვითს დარგებთან. გარდა ამისა, ამ წინადადებებში გათვალისწინებულია საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემცირებაც 500 ათასი კაცით. სამხედრო ხარჯების შემცირება ხელს შეუწყობს იმ სიძნელეების გადაწყვეტას, რომლებიც წარმოშვა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასთან დაკავშირებით. ამავე დროს ასეთი ბიუჯეტის დროს დაკმაყოფილდება შეიარაღებული ძალების მინიმალური მოთხოვნილებანი. ნაკლოვანებები და პრობლემები შეიარაღებულ ძალებში მრავლად არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახალხო მეურნეობაში უფრო მეტი სიძნელეებია.

თავდაცვისათვის ხარჯების საერთო შემცირების პირობებში შემცირდება სამხედრო სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ასიგნებანი. ასეთ შემცირებას ცხოვრება გვაიძულებს. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ ამის გაკეთება არ გვინდა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი, ვინც თავის ნამდვილ მოწინააღმდეგეებს გვიწოდებს, ასეთ სამუშაოებს ფართო ფრონტით ეწევიან. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ აქაც უნდა თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა.

**— რა აზრისა ხართ საბჭოთა სამხედრო მრეწველობის კონვერსიის შესახებ?**

— ახლა მუშავდება მისი დეტალური გეგმა, რომელიც წარედგინება საბჭოთა პარლამენტს მიმდინარე წლის ბოლოს. თუ ზოგადად ვილაპარაკებთ, ეს დოკუმენტი ითვალისწინებს 1995 წლამდე სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების მნიშვნელოვან შემცირებას.

თუ 1988 წელს სამოქალაქო პროდუქციას 40 პროცენტი ეკავა სამხედრო მრეწველობის საერთო ნომენკლატურაში, 1995 წლისათვის ეს ციფრი 60 პროცენტამდე უნდა გაიზარდოს. უკვე გაისად სამომხმარებლო საქონლის გამოშვება საბჭოთა ეკონომიკის ამ სფეროში 10,1 მილიარდი მანეთით გაიზრდება. დასახულია გადიდდეს სამედიცინო ტექნიკის, მსუბუქი მრეწველობისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის, ვაჭრობისათვის განკუთვნილი მოწყობილობის წარმოება. სამოქალაქო ავიაცია უახლოეს დროში მიიღებს ილ-96-300, ტუ-204, ილ-114 მარკის ახალ თვითმფრინავებს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ თავდაცვის დარგები ყოველთვის უშვებდნენ მნიშვნელოვანი ოდენობის სახალხო მოხმარების საქონელს. ახლა საქმე ეხება საბჭოთა ეკონომიკის ამ სფეროს წვლილის მნიშვნელოვან გადიდებას უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტაში.

**— ამ ბოლო დროს არაერთხელ აღძრულა სსრ კავშირში პროფესიული არმიის საკითხი. რა აზრისა ხართ ამ საკითხზე?**

— პროფესიული არმია საბჭოთა კავშირში არ შეიძლება იყოს ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირისათვის ჯერ კიდევ არსებული საომარი საშიშროების პირობებში საყოველთაო სამხედრო ვალდებულებაზე დაფუძნებული არმიის არსებობა გამართლებულია. მხოლოდ ასეთი არმია გვაძლევს საშუალებას გვყავდეს განსწავლული სამობილიზაციო რესურსები ვითარების მკვეთრი გამწვავების შემთხვევაში მათი გამოყენებისათვის. მეორე, პროფესიული არმია მოითხოვს გაცილებით მეტ მატერიალურ რესურსებსა და ფულად სახსრებს, რომელთა მიღება ახლანდელ ეკონომიკურ სიტუაციაში შეუძლებელია.

მიმაჩნია, რომ პროფესიული არმიის იდეა ბევრისათვის მეტად მიმზიდველად ჟღერს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა არარეალისტურია.

# მიღებულია კანონი სუვერენიტეტის შესახებ

**ბაქო,** 5 ოქტომბერი. (აზერინფორმ-საქდესი). აზერბაიჯანის სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო კონსტიტუციური კანონი რესპუბლიკის სუვერენიტეტის შესახებ. იგი დღეს ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა.

აზერბაიჯანი, ნათქვამია კანონში, წარმოადგენს სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოს სსრ კავშირის შემადგენლობაში. მთელი ძალაუფლება აქ ეკუთვნის ხალხს, ხოლო რესპუბლიკის სუვერენიტეტი გამოიხატება მის მიერ მთელ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მთელი მრავალეროვანი ხალხის ინტერესებისათვის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი განხორციელებით.

კანონის თანახმად, რესპუბლიკის განუყოფელი უფლებაა ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხის, აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობის პრობლემების დამოუკიდებელი გადაწყვეტა. აზერბაიჯანის კომპეტენცია შეზღუდულია მხოლოდ საკითხებში, რომლებსაც თვით რესპუბლიკა გადასცემს სსრ კავშირს. სხვა რესპუბლიკებთან ამ მოკავშირე რესპუბლიკის ურთიერთობას საფუძვლად უძევს თანასწორუფლებიანობის, თანამშრომლობის, სუვერენული უფლებების ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

აზერბაიჯანის სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე, მათ შორის ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილებია. მისი ტერიტორია, ხაზგასმულია კანონში, არ შეიძლება შეიცვალოს რესპუბლიკის თანხმობის გარეშე, რომელიც გამოხატულია მთელ მოსახლეობას შორის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მოწყობილი სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით). სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით.

აზერბაიჯანი, ამკვიდრებს კანონი, იტოვებს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას, რომელიც ხორციელდება რეფერენდუმის გზით. მიწა, მისი წიაღი, ტყეები, წყლები და სხვა ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ეროვნულ სიმდიდრეს, რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას და ეკუთვნის მის ხალხს. აზერბაიჯანული ენა გამოცხადებულია სახელმწიფო ენად, ამავე დროს უზრუნველყოფილია რუსული და მოსახლეობის სხვა ენების თავისუფალი ხმარება და განვითარება, რომლითაც იგი სარგებლობს. მიღებული კანონის შესაბამისად, რესპუბლიკას უფლება აქვს პირდაპირი კონტაქტები დაამყაროს უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან ხელშეკრულებები, გაუცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლები, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში.

## შემოდგომა ოქუმში

**გალის რაიონის დიდ სოფელ ოქუმში საზრუნავით არის აღსავსე შემოდგომის ყოველი დღე. მათ შორის მთავარია ზამთრისათვის საზოგადოებრივი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფა.**

**— უკანასკნელი წლების მანძილზე შესამჩნევად გაუმჯობესდა საკოლმეურნეო ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა, — თქვა მეცხოველეობის ფერმის გამგემ ნური ბულისკერიამ. — მოვაწყვეთ საკუთარი საკვები საამქრო, ნორმალური პირობები შევუქმენით მეცხოველეებს შრომისა და დასვენებისათვის. და აი, ახლა შედეგები სასიხარულო გვაქვს: წელს გადავაბიჯებთ სამიათასიან მიჯნას, ვფიქრობთ 80 საფურაკე ძროხიდან ყოველ ძროხაზე სამ-სამი ტონა რძე მივიღოთ.**

**საკვებმომპოვებელთა ბრიგადამ, რომელსაც რაუდენ ზუხბაია ხელმძღვანელობს, სულ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელ სულადობას უზრუნველყოფს მაძღრისი ულუფით. ახლა გაცხარებული სამუშაო დრო დაუდგათ დამამზადებლებს: იღებენ მწვანე მასას, საზამთროდ სდებენ სენაჟსა და სილოსს.**

**სურათებზე: მწველავები შორენა ჯანელიძე და ინგა შელია მეურნეობის საუკეთესო მეცხოველეთა შორის არიან; თივის დამზადება გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში.**

**ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**





# „პარტიული სიტყვა“ № 18

**ჟურნალის** მორიგ ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაცია იუწყება, რომ 1989 წლის 19-20 სექტემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევის, თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკისა და ორგანიზაციული საკითხები. აქვე იბეჭდება ცენტრალური ტელევიზიით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლის ნაწყვეტი.

სათაურით „დროის სულისკვეთებით, ჩვენი ცხოვრების განახლების სულისკვეთებით!“ დაბეჭდილია ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძის საქართველოში ყოფნის შესახებ და მისი გამოსვლა 1989 წლის 6 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე.

„ბედი ქვეყნისა, ბედი მომავლისა“ — ამ სათაურით გაერთიანებულია პარტიის ეროვნული პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მასალები, მათ შორის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გ. ბრეგაძის სტატია „ყველაზე სასარგებლო დამოკიდებულება“, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან მიღებული წერილები.

„ჩვენი იმედების შემოდგომა“ — ასეა დასათაურებული კორესპონდენტის საუბარი რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების სამმართველოს უფროსთან ა. ჰაჰიასთან. ეკონომიკური სუვერენიტეტის გზებზე მსჯელობს თავის სტატიაში „გამოვიჩინოთ ჭვრეტის უნარი“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ომარ კეშელაშვილი, რუბრიკით „საჯაროობა, პლურალიზმი“ იბეჭდება პუბლიცისტ ბ. ნანიტაშვილისა და ოზურგეთის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ტერიტორიული სამმართველოს უფროსის მოადგილის ე. ქერქაძის გამოხმაურებანი პრესაში დაბეჭდილ ცალკეულ პუბლიკაციებზე.

მკითხველის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს შოთა ნიშნიანიძის ორიგინალურად ილუსტრირებული ლექსი „მოდიან..., მოდიან... მოდიან“... ახალ ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე იუმორესკა, გამოხმაურებანი ჟურნალის კრიტიკულ გამოსვლებზე და მასალები საერთაშორისო თემაზე.

## განვიხილავთ პროექტებს: პრობლემები, პერსპექტივა

# ეკონომიკის რეალური გაჯანსაღებისათვის

**ფიქრები მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ზოგიერთ საკითხზე**

**მეტად** სისხლსავსე, დაძაბული და პასუხსაგები პერიოდი უდგათ ამჟამად საქართველოს მშრომელებს. საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული „საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების“, „საქართველოს სსრ მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების 1989-2005 წლების კონცეფციის“, „საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის“ ერთობ მნიშვნელოვანი პროექტები ჩვენი რესპუბლიკის ნებისმიერ რანგის ხელმძღვანელს, და არა მარტო მათ, ავალებს კიდევ ერთხელ განსაკუთრებული გულდასმით გააანალიზონ თავიანთი შესაძლებლობები, ღრმად განიხილონ და დააკონკრეტონ ეკონომიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რათა კიდევ ერთხელ არ აღმოჩნდეთ მხოლოდ მეგმავების როლში, შევძლოთ ეკონომიკური სუვერენიტეტის გზაზე პირველი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

საქართველო ცნობილია, როგორც მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ქვეყანა, გურჯაანის რაიონი კი ამ დარგის წამყვანი რეგიონი, მისი ფლაგმანია. მევენახეობა-მეღვინეობის წილად მოდის რაიონის სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის ნახევარზე მეტი.

ამიტომ, როდესაც რესპუბლიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რაიონის ეკონომიკურ ძლიერებაზე, აქ თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების მეთოდის დამკვიდრებაზე ვფიქრობთ (ამის მოდელს ამჟამად ვამუშავებთ), ცხადია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საკითხებს. მით უმეტეს, რომ გარკვეული წარმატებების მიუხედავად ეს დარგები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია.

რაიონში ამჟამად არსებული ღვინის მრეწველობის 10 საწარმოში 20-მდე დასახელების სხვადასხვა მშრალი სამარკო და ორდინარული ანუ საერო ღვინოები და მოტკბო და ნახევრადმშრალი ღვინომასალები მზადდება. აქვე ხდიან და ავარგებენ საკონიაკე სპირტს, იღებენ ღვინის კირმჟავას, ჰაჰის ფხვნილსა და წიპწას.

აღსანიშნავია, რომ რაიონში გამოშვებულ ღვინოებს მრავალ საერთაშორისო კონკურსში მიუღიათ მონაწილეობა და უმაღლესი ჯილდოებიც მრავალგზის დაუმსახურებიათ.

და მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ბოლო ხანს ვითარება მკვეთრად და უარყოფითად შეიცვალა. 1977 წლის შემდეგ ქართულ ღვინოებს საერთაშორისო კონკურსზე განსაკუთრებული წარმატება არ მოუპოვებიათ. თუ არ ჩავთვლით 1988 წლის „მუკუზნის“ ოქროს მედალს, ასე რომ, პირდაპირ უნდა ვთქვათ: დარგის განვითარებისათვის გაწეული მუშაობისა და გარკვეული წარმატებების მიუხედავად დღევანდელ ქართულ ღვინოს მსოფლიო ბაზარზე დიდი ავტორიტეტი არა აქვს.

ამას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთა სიმწვავე ჩვენთვის კიდევ ერთხელ განსაკუთრებით ხელშესახებად წარმოჩნდა მიმდინარე წლის ზაფხულში, როდესაც საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად მოპატიჟებული იტალიელ მევენახე-მეღვინე სპეციალისტთა 6-კაციანი ჯგუფი გვეწვია.

იტალიელთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა ლუიჯი ვერონელი — მეღვინეთა ასოციაციის სემინარიის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი, მეღვინეობის მრავალი ნაშრომის ავტორი, რომელმაც თან ჩამოიტანა მისივე შედგენილი, მსოფლიოში ცნობილი იტალიური ღვინოების კატალოგი. როგორც გვითხრეს, მას დიდი ავტორიტეტი აქვს და დეგუსტაციაზე მის შეფასებას მსოფლიო ბაზარი დიდ ანგარიშს უწევს.

იტალიელები დაინტერესდნენ ჩვენი ღვინის ქარხნებით. დაათვალიერეს თელავის, ყვარლის და ჩვენი რაიონის ძირითადი საწარმოები. მონაწილეობა მიიღეს ფართო ასორტიმენტის ღვინოების დეგუსტაციაში. დადებითი შეფასება მისცეს 1988 წლის მოსავლის ღვინოებს „მანავს“, „გურჯაანს“. აღნიშნეს ამ უკანასკნელის მცირე დაჟანგვა. დეგუსტაციის დროს იგრძნობოდა სტუმრების დახვეწილი პროფესიონალიზმი. ისინი კარგად ერკვეოდნენ მეღვინეობის ყველა ნიუანსში, საკმაოდ კვალიფიციურად და მეგობრულად მოგვცეს შენიშვნები და წინადადებები. მაგალითად, გვირჩიეს, რომ საკუთარი ტრადიციების შენარჩუნებისთვისაც ვიზრუნოთ, მაგრამ იმ ტექნოლოგიითაც დავამუშაოთ საექსპორტო ღვინო, რომელიც მსოფლიო ბაზარს დააინტერესებს, კერძოდ — მცირე პარტიებით დავიწყოთ დაუჟანგავი ევროპული ტიპის ორდინარული ღვინოების წარმოება. არ მოეწონათ ჩვენი ღვინოების გაფორმება და ისიც, რომ ქართული ღვინო კორპის საცობის გარეშე იხსმება.

სტუმრები დაინტერესდნენ მევენახის შრომით. დაათვალიერეს მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრები. ავუხსენით, თუ რა კეთდება შრომის პროგრესული მეთოდების დასანერგად მევენახეობა-მეღვინეობის საზოგადოებრივ მეურნეობებში. ამასთან დაკავშირებით, მცირე პაუზის შემდეგ, იტალიელებმა გვითხრეს: ღვინო ჩვილ ბავშვს ჰგავს, როგორც ბავშვი ვერ გაიზრდება კარგად ხუთი ძიძის ხელში, ისე ღვინოც რამდენიმე უწყების ხელში ვერასოდეს ნამდვილ ღვინოდ ვერ იქცევა, ყველა პროცესი ერთი მცოდნე დაინტერესებული და საქმიანი კაცის მეთვალყურეობით უნდა მიმდინარეობდეს. ამის მაგალითად დაგვისახელეს თავიანთი თანამემამულე სერჯო მონეტი, რომელიც 8 ჰექტარ ვენახსა და პატარა ღვინის საამქროს ჰფლობელია. იგი წელიწადში 4 ათას დეკალიტრ ღვინოს ამზადებს და ბოთლ ღვინოს 20 დოლარად ჰყიდის. ზვრებში იყენებს მხოლოდ ბორდოს სითხეს და ორგანულ სასუქს, მავნებელ-დაავადებებს ბიოლოგიური მეთოდებით ებრძვის, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს შხამ-ქიმიკატებით ყურძნის გაჯერებას, მოწეული პროდუქცია კი ხარისხიანი ღვინის მიღების კარგი საფუძველია. ამიტომაც ეტანებიან მის ღვინოს.

იტალიელებმა შესაძლებლობის ფარგლებში შემოგვთავაზეს სამსახური მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად. შეთანხმებით: ალბათ ზაფხული თავისი ტრანსპორტითა და თანხით წაიღებს 400 ბოთლ სხვადასხვაგვარ ქართულ ღვინოს და მონაწილეობას მიაღებინებს მსოფლიოს საუკეთესო დეგუსტაციაში. თავისი ხარჯით წაიყვანს რაიონის რამდენიმე მეღვინე სპეციალისტს გარკვეული დროის გამავლობაში იტალიის ფირმებში ტექნოლოგიების გასაცნობად.

მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა გურჯაანის მექანიკურმა ქარხანამ იტალიის ფირმებს ვალუტაზე მიჰყიდოს 4 ათასამდე ცალი სხვადასხვა ტევადობის მუხის კასრი. ევროპულ შეფუთვაში ღვინოების „მანავის“ და „გურჯაანის“ ანოტაცია გამოაქვეყნოს იტალიის პერიოდულ ჟურნალში, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვრცელდება. სოფელ მუკუზანსა და სოფელ როკეტა ტანაროს შორის გაფორმდა საპარტნიორო ხელშეკრულება, რომელიც ფართო ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთკავშირს ითვალისწინებს.

იტალიელ მეღვინე სპეციალისტთა მიერ რაიონის მეღვინეობისა და მევენახეობის დღევანდელი მდგომარეობის შეფასებამ, კომპეტენტურმა შენიშვნებმა და წინადადებებმა სხვა რაკურსით დაგვანახვა რაიონში ამ დარგის განვითარების მომავალი, დაგვეხმარა საკუთარი კონცეფციის ჩამოყალიბებასა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაში.

დავიწყოთ მევენახეობით: რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახი 11,5 ათას ჰექტარზეა გაშენებული. აქედან 9,8 ათასი ჰექტარი მოსავლიანია, დანარჩენი — ახალშენი. მოსავლიან ვენახებში მეჩხერიანობა დაახლოებით 13 პროცენტია, ეს უკვე 1300 ჰექტარი მოცდენილი ფართობია. ამ და სხვა მიზეზების გამო 1988 წელს ფაქტობრივმა ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ 63,9 ცენტნერი შეადგინა.

მიგვაჩნია, რომ, თუ რაიონის საზოგადოებრივ სექტორში ვენახის ფართობს სტაბილურს გავხდით მუშახელის ნორმატიული დატვირთვის გათვალისწინებით, საშუალება მოგვეცემა მეჩხერიანობა 2-3 პროცენტამდე შევამციროთ, საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა გავზარდოთ 75-80 პროცენტამდე, საერთო მოსავლიანობა კი 75-80 ათას ტონამდე. მიზანშეწონილია უნიკალური ჯიშების (საფერავი, კაბერნე, მწვანე, ხიხვი) და უნიკალური ზონების (წარაფები, ფაფრის ხევის ფართობები) შემდგომი განვითარება, ამავე დროს რაიონის რამდენიმე მეურნეობაში უნდა შემოვიტანოთ და შევისწავლოთ ზოგიერთი ევროპული საღვინე ჯიშის ყურძენი.

ვენახის ფართობების სტაბილიზაცია ვაზის სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარების საშუალებას მოგვცემს, რაც გამორიცხავს ვენახებში ბორდოს სითხისა და გოგირდის გარდა სხვა სახეობის შხამქიმიკატების გამოყენებას, მინერალური სასუქები ორგანულით უნდა შეიცვალოს. ამასთან მეტი ყურადღება მიექცეს ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებას მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ. ყოველივე ამის შედეგად, გარდა იმისა, რომ ხარისხი გაუმჯობესდება, შხამქიმიკატების გამოუყენებლობით მთლიან ფართობზე მილიონ მანეთზე მეტი დაგვეზოგება.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ყურძნის კრეფის და ტრანსპორტირების საკითხი. 19-21 პროცენტი შაქრიანობის მქონე მაღალხარისხოვანი ყურძენი შერჩევით კალათებში უნდა მოიკრიფოს. 2-2,5 ტონაზე მეტი არ უნდა დაიყაროს მჟავაგამძლე საღებავით შეღებილ ძარაზე და პოლიეთილენის საფარითაც დაიფაროს. ეს უკვე გარანტიაა იმისა, რომ ღვინის ქარხანაში მაღალხარისხოვანი ნედლეული მოხვდეს. ეს ყველაფერი სათანადო რეკომენდაციებით გათვალისწინებული კი არის, მაგრამ იმის გამო, რომ მატერიალური დაინტერესებით არ არის განმტკიცებული, პრაქტიკულად არ სრულდება.

ამიტომაც ცუდი არ იქნება, თუ ყოველივე ზემოაღნიშნული გარკვეულად აისახება რესპუბლიკის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კონცეფციაში.

რაც შეეხება მეღვინეობას, თუ საკითხს ძირითადად ეკონომიკის თვალთახედვით განვიხილავთ, გარკვეულ პარადოქსს ვაწყდებით. ერთი შეხედვით, სამარკო ღვინის რენტაბელობა, მისი შედარებით მაღალი საბითუმო ფასის გამო, მეტია, ვიდრე ორდინარულისა, მაგრამ თუ რეალურად გავითვალისწინებთ დავარგების პროცესში ღვინის მოვლა-შენახვის ხარჯებს, სხვა სურათთან გვექნება საქმე. მაგალითად, რაიონში სამარკო ღვინოების ნაშთი მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის 2,4 მილიონ დეკალიტრს შეადგენდა. დავარგების პერიოდში (ორ წელიწადში) გაერთიანების მიერ აღებულ სესხზე ბანკს პროცენტის სახით მიაქვს 1,9 მილიონი მანეთი. მაშინ როცა იგივე რაოდენობის ორდინარული ღვინისათვის, რეალიზაცია მდე, ერთ წელიწადში გაერთიანება იხდის 680 ათას მანეთს. თუ ევროპელი მეღვინეების მსგავსად უფრო დავაჩქარებთ ორდინარული ღვინოების ბრუნვას და სამისო დროს 6 თვემდე შევამცირებთ, ეს თანხა განახევრდება. ამასთან ორდინარული ღვინოების წარმოებისას პროდუქციის ბრუნვადობის დაჩქარებით მათი რენტაბელობის დონე უტოლდება სამარკო ღვინოებისას, ზოგჯერ კი აჭარბებს კიდევ. მაგალითად, შარშან რაიონიდან საექსპორტოდ გაგზავნილი 1,1 მილიონი დეკალიტრი ორდინარული ღვინის რეალიზაციით მიღებულმა მთლიანმა მოგებამ ბანკის პროცენტის ჩათვლით 4,5 მილიონი მანეთი შეადგინა, იგივე რაოდენობის სამარკო ღვინის გაყიდვით მიღებულმა მოგებამ კი 2,8 მილიონი მანეთი.

ამიტომ ანიჭებენ უპირატესობას ორდინარული ღვინოების წარმოებას ევროპის მეღვინეობის მოწინავე ქვეყნები. და არა მარტო იმისათვის, რომ, როგორც იტალიელები ამბობენ, ორდინარული ღვინოების წარმოება გაცილებით მომგებიანია თავისი მკვეთრად გამოხატული ჯიშობრივი სურნელების შენარჩუნების გამო, რასაც მსოფლიო ბაზარზე ეძლევა უპირატესობა და რაც ძალზე ძნელად მიიღწევა სამარკო ღვინოების წარმოებისას (მით უმეტეს ჩვენს პირობებში), არამედ იმიტომაც, რომ იგი ექვს თვეში იყიდება. ამით ნახევრდება შენახვის ხარჯები, გადასახადი, რაციონალურად გამოიყენება ტარა და სხვა საწარმოო ფონდები, რაც შესაბამისად ზრდის რეალურ მოგებას.

რაც შეეხება სამარკო ღვინოებს, ჩვენი აზრით, მათი წარმოება პერსპექტიული იქნება მაშინ, თუ მკვეთრად გავაუმჯობესებთ ხარისხს და საგრძნობლად გავზრდით საბითუმო ფასს.

შემდეგი არსებითი დეტალიც: მეღვინეობის დარგის ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია გაიზარდოს ღვინის ადგილზე ჩამოსხმის ხვედრითი წილი, რომელიც, რაიონში ღვინის სასაქონლო პროდუქციის მოქმედი ფასებით, დღეისათვის 1,2 პროცენტია. დღევანდელ პირობებში ეს დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, საჭიროა ჩამოსასხმელი ხაზი, ბოთლი, საცობი, გაფორმება, მაგრამ უახლოესი მომავლისათვის შეუძლებელია ამაზე არ ვიფიქროთ. დღეისათვის რაიონიდან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება 7 მილიონ დეკალიტრზე მეტი სხვადასხვაგვარი ღვინო. თუნდაც მილიონი დეკალიტრი ორდინარული ღვინის ადგილზე ჩამოსხმით მიღებული ბრუნვიდან გადასახადის სახით რაიონის ბიუჯეტი დამატებით მიიღებდა 1,5 მილიონ მანეთს. ჩამოსხმის მოცულობის მომატების შესაბამისად კი პროპორციულად გაიზრდება დარგის ფინანსები და ბიუჯეტის შემოსავალიც.

გვესმის, რომ აღნიშნული მოსაზრება დღევანდელი პირობებისათვის ზოგიერთმა ოპონენტმა შეიძლება მცდარად ჩათვალოს, მაგრამ, თუ დღის წესრიგში დგება ძლიერი საწარმოს, რაიონის, რესპუბლიკის და ცენტრის საკითხები, მაშინ კანონზომიერი და სამართლიანია, რომ ადგილობრივი რესურსები უწინარესად ადგილზევე მაქსიმალურად გამოვიყენოთ. მით უმეტეს, რომ პროდუქციის ხარისხიც გაცილებით გაუმჯობესდება და დარგის ეკონომიკაც მოიგებს.

ჩვენი აზრით ამის მოუგვარებლობა გარკვეულად აფერხებს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ რესურსების გარკვეული, თუნდაც მცირე ნაწილი არ რჩება რაიონის განკარგულებაში, რითაც მეღვინეობის საწარმოებს არ ეძლევათ საშუალება ივაჭრონ სხვადასხვა პარტნიორებთან შეთანხმებულ ფასებში. იქნებ ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ ჩვენი ბოთლი საუკეთესო ღვინის საშუალო ფასი საერთაშორისო ბაზარზე 1,5 დოლარს არ აღემატება.

და ეს მაშინ, როცა საუკეთესო იტალიური ღვინოები როგორც გვითხრეს, 15-20 დოლარი ღირს. ამის მიზეზი მარტივია: ღვინის ხარისხია ცუდი, რადგან მას მდარე ხარისხის ყურძნიდან ვამზადებთ, მაღალხარისხოვან ყურძენს მეტი მოვლა და შრომა სჭირდება. 50 კაპიკად კი კილოგრამ არჩეულ ყურძენს არავინ ჩააბარებს. ღვინის მრეწველობას დიდი ანაზღაურება, ვთქვათ, კილოგრამ ყურძენში ერთი მანეთის გადახდა, არ შეუძლია. არც მეღვინეა დაინტერესებული და არც დირექტორი, რადგან მიღებული პროდუქციის რეალიზაციას საბოლოოდ მას არავინ ეკითხება, არც არავინ კითხულობს, ვისი დაყენებულია ესა თუ ის ღვინო. ოდესღაც კი მეღვინეობას ხელოვნების დარგებს ადარებდნენ. დაახლოებით ასეთია დღეს მეღვინეობაში ჩამოყალიბებული სისტემის უეფექტობის არსი.

კარგად გვესმის ერთი ხელის დაკვრით ყველაფრის გამოსწორება ძნელია, მაგრამ ზოგიერთი საკითხი ახლავე უნდა მოგვარდეს. მაგალითად, ღვინის ფასების დიფერენცირება მოხდეს რაიონების მიხედვით. „მუკუზანმა“ საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა, საბითუმო ფასით კი გათანაბრებულია „ნაფარეულისა“ და „ყვარლის“ ღირებულებასთან. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ღვინის ასორტიმენტის სიმრავლე, იგი უნდა დაიხვეწოს და პროდუქციაც მკაცრი ზონალობის პრინციპის დაცვით, ჯიშისა და ადგილმდებარეობის მიხედვით დამზადდეს. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით აუცილებელი გახდება სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ღვინოების გამოშვებისას, რომელიც უკვე სადღეისო ამოცანაა.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი: აუცილებლად უნდა გადაისინჯოს მეღვინეობის დარგში არსებული სიმძლავრეები, რომლებიც 80-იან წლებში გაუმართლებლად გაიზარდა. რაიონში თავმოყრილია 70 მილიონი მანეთის საწარმოო სიმძლავრე, რაც წელიწადში 300 ათასი ტონა ყურძნის გადამუშავების საშუალებას იძლევა. [illegible] ზოგიერთ ქარხანას [illegible] პროფილი [illegible] რი, ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელი აღრიცხვა. ერთი და იგივე პროდუქცია სასაქონლო სახით რამდენიმეჯერ აისახება: ყურძნიდან მოხსნა, ღვინის დამუშავება და ჩამოსხმა, რის გამოც ერთი ლიტრი ღვინის ფასი 9-დან 34 მანეთამდე იზრდება. მხოლოდ ყურძნიდან მოხსნის შედეგად სასაქონლო პროდუქციის მოცულობა რაიონში ყოველწლიურად 55 მილიონი მანეთით იზრდება. ეს მაჩვენებელი კი ღვინის მრეწველობას პრაქტიკულად შემოსავალს არ აძლევს. არადა, შრომის ნაყოფიერება სწორედ ამით გამოიანგარიშება და სახელმწიფო ბანკიც ხელფასებს მისი შესაბამისი ოდენობით იძლევა.

როგორც ვხედავთ, უამრავი პრობლემის წინაშე დგას როგორც მევენახეობის, ისე მეღვინეობის დარგი. ერთ-ერთი გამოსავალია ის, რომ ადგილებზე საწარმოებს, აღმასკომებს მიეცეთ რეალური დამოუკიდებლობა და გარკვეული თავისუფლება. თუ იმის საშუალება მოგვეცემა, რომ პროდუქციის თუნდაც მეხუთედი ვაწარმოოთ და გავყიდოთ ჩვენი შეხედულებისამებრ, თვითონ მოვაგვაროთ ფასის საკითხები და დაინტერესების ფორმები, მაშინ გადამუშავების ტექნოლოგიაც დაიხვეწება, საერთაშორისო ბაზარზეც გავალთ და შესაბამისი შემოსავალიც გვექნება, გლეხიც კმაყოფილი იქნება და სახელმწიფოც. რაც მთავარია, გაჩნდება რეალური ინტერესი, რომელიც გააერთიანებს ყველა მონაწილე რგოლს.

ამ მხრივ უკვე გადავდგით პირველი პრაქტიკული ნაბიჯები, ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობა და ღვინის ქარხნები შევაერთეთ, რითაც პრაქტიკულად ერთი ორგანიზაციის ხელში მოექცევა ხარისხიანი ღვინის წარმოების საქმე. მიმდინარე წელს მუკუზნის მეღვინეობის ქარხანაში 500 ტონამდე ამორჩეული, კალათებში მოკრეფილი, საღი ყურძენი გადამუშავდება ცალკე ხაზებზე, მიღებული ტკბილი სიცივით დამუშავდება, დადუღების შემდეგ ჩაუტარდება სრული ტექნოლოგიური ციკლი, და როცა სტაბილური გახდება, სპეციალური კონტეინერებით გაიგზავნება იტალიაში. იქ იგი იქაურ ხაზებზე, მათ ბოთლებში ჩამოისხმება და თანამედროვე დონეზე, ქართულ-ლათინური წარწერებიანი ეტიკეტით გაფორმდება. ვფიქრობთ, იგი ქართული ღვინოების კარგი რეკლამაც იქნება, რაც ასე ესაჭიროება ქართულ მეღვინეობას. ამასთან პირველი კატეგორიის ვალუტასაც შემოვიტანთ, რითაც ძირითადად უცხოური ფირმის მოწყობილობას შევიძენთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მხარდაჭერით სასიკეთოდ გადაწყდა ერთ-ერთი მთავარი საკითხიც: ზემოაღნიშნული რაოდენობის საღ, არჩეულ, კონდიციურ ყურძენში საზოგადოებრივ მეურნეობებს, მათი დაინტერესების მიზნით, 54 კაპიკის ნაცვლად 70 კაპიკს გადავუხდით, ხოლო ჩამბარებლისათვის გაცემულ ზედმეტ თანხას მაღალხარისხოვანი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან ავანაზღაურებთ. მომავალი წლიდან 1500-2000 ჰექტარ ვენახს დავამუშავებთ შხამქიმიკატების გამოუყენებლად — ბორდოს სითხით და ორგანული სასუქით. ამ ფართობებზე მოწეული ყურძნიდან ცალკე დამუშავდება ხარისხიანი ღვინომასალა, შემდგომ წლებში ასეთ ტენდენციას უფრო განვავითარებთ.

აღნიშნულ საკითხებზე ვესაუბრეთ მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორს ნოდარ ჩხარტიშვილს, საქსახაგროსამრეწველო კომიტეტის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს ნიკოლოზ მეხუზლას. ისინი დაინტერესდნენ ჩვენი წამოწყებით და ყოველმხრივ დახმარებას შეგვპირდნენ, რათა რაიონში სამეცნიერო-საწარმოო სისტემის შექმნის შემდეგ (რომელიც ახლა ყალიბდება) მეცნიერულ დონეზე ავიყვანოთ მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების საქმე.

ყოველივე ზემოთქმული თავისთავად იმედისა და რწმენის მომცემია, საშუალებას გვაძლევს დავაინტერესოთ მევენახეც და მეღვინეც, მივცეთ მათ მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ასეთია ჩვენი დღევანდელი პოზიცია. მხოლოდ რწმენით, მონდომებითა და ნაყოფიერი გარჯით შევძლებთ საკუთარი წვლილის შეტანას რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცებაში.

**ტიბერ დვალიშვილი,**
გურჯაანის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ლიტერატურული გვერდი

შოთა ნიშნიანიძე

## პასუხი ზოგიერთს

[illegible]

ფრიდონ ხალვაში

## სწორედ ახლა

[illegible]

ვინ რას ელოდა,
ვიცი, ადვილი არც ახლაა,
ძმავ, ქართველობა.

და თუ ვინცა ვარ, იმის დაცვას
უნდა ამდენი,
მე სწორედ ახლა მიხარია,
რომ ვარ ქართველი.



— ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

(ვაჟა-ფშაველას ძეგლი თბილისში;
მოქანდაკე — გოგი ოჩიაური).

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ნოდარ ჯალაღანია

## მოტყუებული ჩემი ბავშვობა

„რადგან რაინდთა ჯარი გყოლია,
არ წაგიგია ომი არცერთი,
შენ არასოდეს არ გიბრძოლია
დაქირავებულ ჯარისკაცებით“
ჩემივე ლექსიდან
„რწმენის ორდენის კავალერი“.

1.

ასე ვფიქრობდი, ვწერდი ასევე
და დღეს ამ სიტყვებს როცა ვიგონებ;
ჩუმად დავსტირი და მივასვენებ
იმ „რაინდებით“ მოკლულ სტრიქონებს.

იმ რწმენას, იმ ხატს, ამ გატაცებას
მორყეული აქვს უკვე ფესვები,
ჩემი ნაქები „ჯარისკაცებით“
აჩეხილია ჩემი ლექსებიც.

როგორც ოდესღაც ძველი წარმართი
ძველ სალოცავებს ვტოვებ წვალებით,
ყველა ხატი და რწმენა ნამართევს
რწმენა ამდენი ფერისცვალებით.

ისე მივდივარ, ისე ვბერდები,
სული ბოლომდე ვერ დავაპურე.
დამსხვრეულია ძველი კერპები,
დღეს ყველა კერპებს ეჭვით ვუყურებ.

ახლა გულსა და რწმენას გატეხილს
მიშვებული აქვს ყველა სადავე.
მაგრამ არასდროს პურის ნატეხი
არ იყო ჩემი რწმენის სათავე.

სიტყვით კი არა, გულით მჯეროდა,
გული მართალი იყო იმ დროსაც.
რა ფერის დროშაც უნდა მჭეროდა,
მხოლოდ სიმართლე, ერქვა იმ დროშას.

გულმა სიყალბე აღარ იკადრა,
თუმც იყო სხვა დრო, სხვა ისტორია.
თუკი მიყვარდა, მართლა მიყვარდა, —
მონის ცხოვრებით არ მიცხოვრია.

სიმართლეს ვამბობ, ვამბობ მე, როცა
მწამდა იმ ხატის; მწამდა საოცრად.
მაგრამ რა ხატზეც უნდა მელოცა
სამშობლო ერქვა ყველა სალოცავს.

ეხლა მიყურებს სველი თვალებით
გულგატეხილი ჩემი წარსული.
და კვლავ მიათრევს სხეულს წვალებით
სული ნაცემი და გაძარცვული.

II.

რალას ვიხილავ უფრო უარესს,
ან უფრო მეტად რით დავისჯები.
რწმენას ტანკებით გადაუარეს,
და ამიჩეხეს სული ნიჩბებით.

იმ სისასტიკით და იმ სიმკაცრით
სევდა და ბრაზი ერთად მერევა.
ხომ კომუნისტი ერქვა იმ კაცსაც,
იმ ჯალალედინს — ჯალათ გენერალს.

მწარეა, მაგრამ არის სიმართლე,
(თუმცა ეს მაშინ არვის უკვირდა)
ხომ კომუნისტი ერქვა იმათაც,
ვინც საქართველოს ბორკილს უყრიდა.

ხომ კომუნისტი ერქვა იმათაც,
ვინც ხელს იბანდა სისხლის წვიმაში.
რადგან მემკვიდრე მერქვა იმათი,
მეც ცოდვილი ვარ ღმერთის წინაშე.

უფრო შორეულ წლებსაც ვიგონებ,
წლებს სამარცხვინოს და ტკივილიანს,
კი არ ვიტირე, კი არ ვიგლოვე,
თურმე ვესროლე ტყვია ილიას.

თუმც დღეს ახდილი არის ნიღაბი,
მკვდრები საფლავში ისევ კვდებიან,
მაგრამ ის წლები, წლები სიყალბის,
გაბრიყვებული ჩემი წლებია.

იმ წლებს, იმ დღეებს მიმდნობს, უცოდველს
დღეს ცრემლნარევი ფიქრით ვაცილებ
და დარცხვენილი თვალს ვერ ვუსწორებ
იმ განბილებულ ჩემს სიყმაწვილეს.

თუმცა უნიათ ცოდვილთ ცოდვებმა
და სამართალმა იწყო ლაშქრობა.
მე მენანება და მეცოდება
მოტყუებული ჩემი ბავშვობა.

* * *

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სტიქიური უბედურებით დაზარალებულ აჭარელთა დახმარების ფონდში.

გრიგორი ბულახი

# ავგაროზი

[illegible] დაუშლია პროთეზი, ხან ჩაქუჩს უკაკუნებს, ხანაც მარწუხს უჭერს. ასე ჩვევია, რასაც ხელს მოკიდებს, დალეწილიც რომ იყოს, სულს ჩაუდგამს. რა გინდა, რომ არ შეაკეთოს, საკერავი მანქანიდან დაწყებული, ტრაქტორით დამთავრებული.

სხვა დროს ივანს იქნებ არც ეყარა ჯავრი პროთეზებზე, კეისარივით ჩამჯდარიყო თავის ეტლში და გარეთ გახრიგინებულიყო, მაგრამ ახლა... სიცოცხლეში ერთხელ გადაწყვიტა თბილისში გივი მოენახულებინა და სწორედ მაშინ, თითქოს ჯიბრზე, გაუფუჭდა რაღაც მექანიზმი. ამიტომაც შფოთავდა, „თუ ზოსკამ არ მიშველა, — ფიქრობდა ივანი — პროთეზებს ნაკუწ-ნაკუწ დავჩეხავ და მინისტრს გავუგზავნი წარწერით: ნაძირალავ, ჯამაგირს რისთვის იღებ-თქო“.

პროთეზები ივანს პირველად როდი უფუჭდებოდა, პირველად როდი ჩაკირკიტებდა მათ ზოსკა, მაგრამ ბოლო დროს ასეთი შემთხვევები ძალიან გახშირდა. ხანდახან ეჭვიც კი უჩნდებოდა: ამაში იმპერიალისტ მავნებელთა ხელი ხომ არ ურევიაო? ამიტომაც ცდილობდა არ გამორჩენოდა ის დღე, როცა მათ სოფელში რომელიმე ლექტორი ჩამოვიდოდა. მომხსენებელს სეტყვასავით დააყრიდა შეკითხვებს, ჭეშმარიტებას ეძებდა. შეკითხვები კი ივანს თავზე საყრელად ჰქონდა, როგორც ვაზნები ერთ დროს განუყრელ ავტომატ პპშ-ას სავაზნეში. ჯერ შორიდან მოუვლიდა ხოლმე: კოლექტივიზაციაო, კონსტიტუციაო, მიწათსარგებლობის წესებიო. როცა სამხედრო კომუნიზმის ეპოქას მორჩებოდა, ოცდაცამეტი წლის შიმშილსა და მის მიზეზებზე გადადიოდა. მერე რეპრესიებს, კოლიმასა და სოლოვკის შეეხებოდა. ეკითხებოდა მოლოტოვსა და რიბენტროპზე, მათ რომელიღაც „საიდუმლო შეთანხმებაზე“. განსაკუთრებით ბევრი კითხვა ებადებოდა, როცა ხალხთა ბელადს, ამხანაგ გენერალისიმუსს შეეხებოდა.

— თქვენ თემის გარშემო... თემის გარშემო შეეკითხეთ, შეეპასუხებოდა რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე პეტრო გნილიკი. — იგი ეხება, ასე ვთქვათ, სასურსათო პროგრამის ზოგიერთ ასპექტს.

ივანი სავარძლიდან წამოიჭრებოდა:

— ჩვენთვის, ამხანაგო გნილიკ, ისედაც ცხადია, რომ სათქვენოდ ის ასპექტები კარგა ხანია გადაწყვიტეთ... პროგრამა კი... რომელ პროგრამაზეა ლაპარაკი, როცა სამოცდაათი წლის განმავლობაში საცოდავი პროთეზის შეკოწიწება ვერ გვისწავლია, რადგან თქვენისთანების იმედით კიდევ ერთი სამოცდაათი წელი არ გვეყოფა! — იგი ფეხზე ჯოხს მიირტყამდა, როგორც თუჯის მილზე და დარბაზს ისეთი გამომწვევი ჭრიალით ტოვებდა, რომ სხეულში ჟრუანტელი დაგივლიდათ.

ლექცია ამით თავდებოდა, რადგან ივანის კვალდაკვალ დარბაზიდან ჯერ თითო-თითოდ გაილალებოდნენ, მერე კი ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ მსმენელები.

გნილიკს რუხ პერანგქვეშ ძარღვები ებურცებოდა, ლატაკი სცენის დამტვერიანებულ კულისებს მიღმა მრისხანედ ჩიოდა: აი, ასეთი, — ცარიელი დარბაზისკენ მიუთითებდა, — უკაცრავად პასუხია, ნაგავი ტივტივებს ახლა ზედაპირზე, და რაც დრო გადის, უფრო მატულობს. ასეთი ივანები პირველად როდი გვიშრობენ სისხლს და გვიფუჭებენ ლექციასო. იგი ვეღარც ამჩნევდა ახალგაზრდა ლექტორის თვალებში ზიზღის გამომხატველ მზერას და შეთქმულივით ჩუმად ამატებდა: სტალინს მათთვის ყელში ჰქონდა წაჭერილი და სწორიც იყო. დროა, ჩვენც მოვუჭიროთ ხრახნებს, წავითამაშეთ, და გვეყო, — მან შესუქებულ ყელზე ხელი გამოისვა, — ეს დემოკრატია უკვე, როგორც იტყვიან...

* * *

ჩაფიქრებული ივანი წამოწოლილიყო და ქართულ ფარდაგს მისჩერებოდა. ფარდაგი ფართო იყო, მთელ კედელს ფარავდა, ჭერიდან იატაკამდე. კოხტად მორთულ უკრაინულ ხატას თვალის მომჭრელად ახსივოსნებდა სამხრეთული ღამის შავი უფსკრულიდან ამოზიდული იისფერ ქედთა ნაყშიანი სილუეტი და ყაზბეგის თეთრი ქუდი. ციცაბო კალთის მარცხენა კუთხიდან სიბნელე გაერლევია და ზედ უფსკრულის პირზე გაჭრილიყო ღამის ფონზე ოდნავ შესამჩნევი იდუმალი მხედარი, რომელიც აქოჩრილ ფაფარს ჩაფრენოდა. მხრებზე მოგდებული შავი ნაბადი, ღამეს რომ ერწყმოდა, თითქოს აჩერებდა უფსკრულთან მისულ ცხენსაც და მხედარსაც. მთვარის ნათელი სიბნელეს სტაცებდა ყალყზე შემდგარი ცხენის ფლოქვებს, უზანგების ბრწყინვას და შორეული მდინარის ზოლს, რომელიც ივანის სულში რაღაც უცნაურ შიშსა და ძრწოლას იწვევდა. მაღალ მთათა ეს დიადი და იდუმალი კონტურები, ხეობები და უფსკრულები, ბრჭყვიალა და მიმზიდველი მდინარის ნალი, ისეთი მოულოდნელი და გამაოგნებელი იყო, რომ ივანს ესმოდა კიდეც წვეტიან კლდეებს შორის აქაფებული მდინარის დგაფუნი. იგი უკვე იქ იყო, ფრიალოზე, ღამის უბეში, არნახული სურნელებისა და ქარების საუფლოში, ცხადად ჩაესმოდა თვალშეუბამი შორეთის სიღრმეებიდან წამოსული სევდიანი ჰანგი, რომელიც ხან ჩაიძირებოდა, ხან ისევ ამოტივტივდებოდა ამოუცნობი ქართული ღამის ამფორიდან და მსჭვალავდა მის წარმოსახვას.

კეცხოველთა ოჯახის საჩუქრის — სახელგანთქმული კახური ცხვრის მატყლისგან ძველებურ დაზგაზე გივის დედის მიერ შინ მოქსოვილი ფარდაგის სანახავად ივან ბურზასთან მეზობელი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ, ხოლო ფრონტელი მეგობრის ჩამოსვლა არა მარტო ივანის, არამედ მთელი სოფლის დღესასწაული გახდა, ეს იყო ომის დამთავრებისთანავე, ისე დიდი ხნის წინათ, რომ გახსენებაც ჭირს. მას შემდეგ ივანი და გივი არ შეხვედრილან, მხოლოდ ოცნებობდნენ ამაზე და მოკლე ბარათების გაცვლით კმაყოფილდებოდნენ.

შავ ხალიჩაზე ყაზბეგის თეთრი ქუდის მარცხნივ გადაჯვარედინებულად ეკიდა მოოქროვილქარქაშიანი ქართული ხანჯალი და ზედ შუაგულში გერმანული ტყვიით გახვრეტილი ჩვეულებრივი მესანგრის ნიჩაბი.

ის პატარა ნახვრეტი ივანს ყოველთვის ახსენებდა, რომ ზოგჯერ სიკვდილის პირას მდგარა. გერმანელი სნაიპერი შეცდა იმჯერად კენიგსბერგის შემოგარენში, როცა საკუთარი შაშხანის კონდახზე მორიგი ნაჭდევი გააკეთა, რადგან ტყვია სასანგრო ნიჩაბს მოხვდა, რომელიც ივანს ჯარისკაცურ ქამარზე ეკიდა. ცოტათი გაკაწრა, მაგრამ მოკვლით ვერ მოკლა. ფოლადში გააღწია, ფუფაიკაში კი ვეღარ. მერე ეს ყველას უკვირდა.

— გაუფრთხილდი ამ ნიჩაბს, — ეუბნებოდა ასეულის მეთაური და თან ნახვრეტს ხელს უსვამდა,— ეს შენი ავგაროზია...

ამ გახვრეტილი ნიჩბით დაასრულა ივანმა სამამულო ომი და მშობელ მხარეში დაბრუნდა. ყოველ წელიწადს გამარჯვების აღლუმზე უსათუოდ თან მიჰქონდა, ხოლო დაბრუნებულზე კვლავ გადააჯვარედინებდა ხოლმე ქართულ ხანჯალთან.

* * *

ივანი და ზოსკა პატარა რკინიგზის სადგურამდე ახალი „ზაპოროჟეცით“ მიიყვანა მეზობელმა „ავღანელმა“ ვიტკა სოლონჩუკმა, სოფელში ომის ყველაზე ახალგაზრდა ვეტერანმა, რომელსაც მარცხენა ხელზე ოთხი თითი აკლდა. მას ხშირად დაჰყავდა ხოლმე ივანი სათევზაოდ, ბაზარში, რაიცენტრში ულუფის ასაღებად.

— კარგი ბიჭია, — ამბობს მასზე ივანი, — აფსუს, ბრეჟნევის ომმა ასე რომ დაასახიჩრა,

ვიტკა კი თითქოს განზრახ არ იკარებს ნაღველს:

— მე კიდევ გამიმართლა სხვებთან შედარებითო...

ენაწყლიანი და მხიარული ბიჭი ანეკდოტს ანეკდოტზე ჰყვება:

ერთხელ ბრეჟნევს ჰკითხეს, რატომაა ჩვენში ხორცის ნაკლებობაო. მან უპასუხა, ჩვენ ისეთი ტემპით მივიჩქარით კომუნიზმისაკენ, რომ საწყალი საქონელი ვერა და ვერ გვეწევაო... ჰყვება და თან სიცილით იგუდება. ზოსკა შემკრთალი იცქირება აქეთ-იქით და არ იცის, გაიცინოს თუ არა.

ჭკუით იყავი, ვიტკა, თუ ვინმემ დაგაბეზღა, გაჩვენებენ მაგ „ტემპს“... არიგებს ივანი. ასეთი რამისათვის ჩვენთან ერთს სამი წელი აჰკიდეს...

ვიქტორს პასუხი მზადა აქვს.

— ეს ძველად იყო, ახლა კი სხვა დროა, ძია ივან!

და მიჰქრის მეტეორივით ბეზსალის ჭუჭყიან ორმოებზე. მერე რა, რომ მარცხენა ხელზე ერთი თითილა შერჩა, საჭეს ისე ატრიალებს, საღსალამათსაც რომ არ დაესიზმრება...

ივანი ვაგონის ტამბურში იდგა და ზოსკას ცხვირსახოცს უქნევდა, თანაც ისე ებრალებოდა იგი, მიზეზს თვითონაც ვერ მიმხვდარიყო. იქნებ იმიტომ, რომ ცოლს იაფფასიანი კაბა ეცვა, ფეხსაცმელიც დაღრეცოდა, ან იქნებ იმიტომაც, რომ თავსაფრიდან ჭაღარა უბრწყინავდა. რატომღაც ძალიან პატარად მოეჩვენა იგი. ნაჯაფარი და კანდამწვარი ხნულში ჩაკარგულ ბირკას აგონებდა.

ალბათ პირველად უყურებდა მას არა შინაურულად, არამედ შორიდან, მუშტრის თვალით. ხელსაქმობისას თითქოს არაფერი უჭირდა, ჩვეულებრივი ქალი იყო, მაგრამ ახლა ივანი გრძნობდა, რომ რაღაც აწუხებდა, მკერდში აწვებოდა, ცრემლები ახრჩობდა, ივანი კი ჯიბრზე იღიმებოდა, ოღონდ ზოსკას ვერ გააცურებ, ამჩნევდა ქმრის ნაძალადევ ღიმილსა და დაბერილ ნესტოებს, ამიტომ ეძახდა ბაქნიდან მუშტის ქნევით:

— მორჩი, ივან, შენთვის ეს არ შეიძლება...

ვერც კი გაიგო, როდის დაიძრნენ. ზოსკა უკვე აღარ ჩანდა, მხოლოდ ალვის ხეები მოსდევდნენ ვაგონებს...

* * *

ივანი ვაგონის სარკმელს ვერ მოშორებოდა. ცაზე მზე ჩახჩახებდა, ღრუბლის ფთილაც არსად ჩანდა, რადიოთი ქართულ სიმღერებს გადმოსცემდნენ. გული წყდებოდა, რომ ზოსკა გვერდით არა ჰყავდა. „ეშმაკსაც წაუღია საოჯახო საქმეები, — აგინებდა თავისთავს ფიქრში, — სჯობდა წამოსულიყო და საკუთარი თვალით ენახა ეს სილამაზე“.

გივიმ განზრახ დაპატიჟა ივანი აპრილში, რადგან იცოდა, რომ მეგობარს მართლაც გააკვირვებდა აყვავებული მთებით.

პირველი და ყველაზე მტკივნეული შეხვედრა დედაქალაქის სადგურში შედგა. გივი და ივანი ერთმანეთს გადაეხვივნენ და გაქვავდნენ, მარტო მხრებილა უთრთოდათ ოდნავ.

— კარგი, გეყოფათ, — უკვე მერამდენედ ჩასჩიჩინებდა მათ ცრემლმორეული გივის მეუღლე, გეყოფათ, გეყოფათ, თორემ მალე ირგვლივ ყველას ააქვითინებთ...

ბებერი ქალაქის სადგურის მოედანზე კოჭლობით მიაბიჯებდა ორი ჭაღარა კაცი. მიდიოდნენ ნელა და ამაყად. თითქოს საკუთარი მხრებით მიჰქონდათ ეს გაზაფხულიც, მზეც, ზეცაც, ხოლო მათი მძიმე ნაბიჯები ისეთ ხმას გამოსცემდნენ, გეგონებოდათ დედამიწის გულში ფოლადის ლერძი ჭრიალებსო.

ძვირფასი უკრაინელი სტუმრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით კეცხოველთა ოჯახში თითქმის მთელი ნათესაობა შეიკრიბა. გივისა — ქართლიდან, მეუღლისა — კახეთიდან. გივის პატარა ეზო ქალაქის გარეუბანში ხალხით აივსო. მასპინძელი თვითონაც არ ელოდა ნათესავებისა და მეგობრების ასეთ მოზღვავებას. სამოყვარულო კინოაპარატების ტკაცუნი, ფოტოაპარატების თვალისმომჭრელი გაელვება, სევდიანი ქართული სიმღერები, დიდებული სადღეგრძელოები, პატარების ტიტინი, დიდების მუსაიფი ისეთ ძალდაუტანელ ვითარებას ქმნიდა, რომ განცდილი, დაკარგული, აუხდენელი განზე იწევდა და გული მხოლოდ ამ შეხვედრით გამოწვეულ ზეიმს მოეცვა. როცა გივის დისწულები ნარნარით გაცურდნენ მზეჩაღვრილ მდელოზე, ივანმაც რამდენჯერმე წამოიწია საცეკვაოდ, მაგრამ მყისვე მოთოკა საკუთარი სურვილი, მაღლა ასწია გურჯაანული ღვინით სავსე თასი და თავისდა უნებურად ხმის ჩახლეჩამდე შესძახა:

— ას-ს-სა! ას-ს-სა!

საცეკვაოდ გამოვიდნენ ქართველი ბიჭები, მათი ხელების ელვისებური მოძრაობა და ილეთების იეროგლიფები გაოგნებულ ივანს ერთდროულად ცრემლსაც ჰგვრიდა და სიხარულსაც. ცეკვის უხილავი ზამბარა ჰაერში თრთოდა და ტრადიციული ქართული მოძრაობებიდან თანდათან ჩვეულებრივ თანამედროვე რიტმებში გადადიოდა. თითქოს ივერიის ათასწლოვანი სიღრმიდან მოჟონავდა დინჯი მელოდია, რომელიც თანდათან მძლავრობდა, ნიაღვარივით ღონეს იკრებდა და მთათა მწვერვალებიდან მოსხლეტილი ნელ-ნელა ივაკებდა. იმ მელოდიას ნაღვლიან და გაბმულ ბანს აძლევდნენ მამაკაცები.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა ივანისთვის ის იყო, როცა გივის უმცროსი დისწული თამრიკო სტუმრების წინაშე დადგა და მთელი ეზოს გასაგონად წკრიალა ხმით წარმოთქვა:

— ტარას შევჩენკო, კავკასია!

თამრიკო ბავშვური ხმით გამოთქვამდა ივანისთვის სანუკვარ სიტყვებს, რომლებიც შორეულ ექოსავით ჩაესმოდა და გულს ნეტარი გრძნობებით უვსებდა. უკიდურესად აღელვებული ივან ბურზა თამრიკოს უკვე ვერ ხედავდა, იგი ჰაერში გადნა და ნაადრევი ნუშის მოთეთრო-მოვარდისფრო ყვავილად იქცა. მხოლოდ და მხოლოდ ხმა რაკრაკებდა წყაროსავით, ვერცხლისფერ ნაკადულივით და მთელ მის არსებას დღემდე გაუგებარ უცხო ჟრუანტელად უვლიდა. როცა თამრიკო გაჩუმდა, ივანი წამოდგა და გოგონა დიდი უხეში ხელებით მძლავრ მკერდზე მიიკრა, თავზე აკოცა და ტაშმაც იქუხა. სიცილკისკისი და მხიარულება, გეგონებოდათ მარტო მოხუცი კეცხოველის ეზოს კი არა, მთელ სამყაროს ავსებდა.

— ივან, გესმის, ნუთუ ეს მე და შენა ვართ?..

საკუთარ მოგონებებში ჩაძირულთ ხელს არავინ უშლიდათ. მათი განმარტოებული და წყნარი ბაასი მეტწილად ორი სიტყვით იწყებოდა: „თუ გახსოვს...“ შორიახლო შრიალებდნენ ტანაშოლტილი კვიპაროსები, იღვრებოდა წლეულს ნაადრევად აყვავებული ნუშის სურნელი, რომელიც ნედლი წიწვის სურნელში არეულიყო. ისევე, როგორც ოცი წლის წინათ, ისინი ომის გზებზე მიაბიჯებდნენ, კარგავდნენ ახლობლებს. სეკეშფეგერვართან მათი გზები გაიყარა და ყველაფერი თავიდან დაიწყო...

გივის უკრაინის ამბები აინტერესებდა, ივანს მის სოფელზე ეკითხებოდა. იქადნებოდა, უსათუოდ ჩამოვალ ბეზსალაში და ძველებურად სულაზე გავალ, ანკესს გადავაგდებ და დროთა განმავლობაში გადავიწყებულ უკრაინის მდელოთა სურნელს მთელი მკერდით ჩავისუნთქავო. ეკითხებოდა ჩერნობილზე, საჯაროობაზე, გარდაქმნაზე, აღელვებდა უკრაინის სახალხო მოძრაობაც.

— უარყოფს „მოძრაობას“ ჩვენში ზოგ-ზოგი ინსტანცია, — ოხრავდა ფიქრს მიცემული ივან ბურზა.

— რატომ, რატომ? — ეკითხება გივი, გარდაქმნას უნდა დავეხმაროთ. რატომ უარყოფს?

— რატომ და ჩვენში ბევრი გნილიკია [1].

— ვინაო? ვერ გაიგო გივიმ.

— გნილიკები მოგვიმრავლდნენ-თქო! ასე ვეძახი ყველა მათგანს ჩვენი რაიალმასკომის თავმჯდომარის მოადგილის გვარის მიხედვით. ჩვენში და, ალბათ, თქვენშიაც ზოგ-ზოგმა უკვე აიშენა კომუნიზმი. განა მათ გარდაქმნა ხელს აძლევთ? არაფერი შეგეშალოს! არა უშავს, ვნახავთ, როგორ წაუვათ საქმე. არც ისეთები ვართ, როგორც გნილიკებს ჰგონიათ. როგორაც არ ეცადნენ, მოადგილე დეპუტატად შემოეტენათ, მაინც არ ავირჩიეთ. ყველა გნილიკს ეს დღე ელოდება... ხალხმა იგრძნო საკუთარი ძალა და, ამას უკვე, ჩემო გივი, ვერ წაართმევ, ხალხი უკვე ის აღარაა, რაც ჩვენს დროს იყო; ცხოვრება სხვა ტემპით მიდის, მან მეგობარს მხარზე ხელი მოხვია, — ამიტომ ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ, მეგობარო, — ჯერ კიდევ შეგვიძლია ფეხა გამოვიჩინოთ, თოფის წამალი კიდევ შემოგვრჩა!

— შემოგვრჩა, ივან, და ამაში რომ დავრწმუნდეთ, საღამოს მიტინგზე წავალთ.

— გივი წამოდგა და სტუმრებს მიმართა:

— ყველანი მიტინგზე მივდივართ!

მთავრობის სასახლის წინ მოედანი უზარმაზარი ზარივით გუგუნებდა. ხალხი სულ უფრო და უფრო მატულობდა. ერთად თავმოყრილი ამდენი ქალი და კაცი ივანს ჯერ არ ენახა. ადამიანები მოზრდილ ჯგუფებად იდგნენ, რაღაცაზე კამათობდნენ ხელების ქნევით, რაღაცას უმტკიცებდნენ ერთმანეთს. ივანს არ შეეძლო ამ საუბრების არსს ჩასწვდომოდა, მაგრამ საერთო განწყობილების მიხედვით ხვდებოდა, რომ მათ მეტად მნიშვნელოვანი რამ აერთიანებდათ. გუმანით გრძნობდა, რაღაც უნდა მოხდესო, რადგან მისი აზრით ამდენი ხალხი თავს უმიზეზოდ არ მოიყრიდა.

უკვე მთელს მოედანზე გაეჭიმათ უშველებელი ტრანსპარანტები, ირგვლივ ეროვნული დროშები ფრიალებდა. დიდ-პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა ერთი ამოსუნთქვით, ერთი განცდითა და სურვილით ცოცხლობდა. ზღვა ხალხში მოჩანდა ყელზე თეთრშარფმოხვეული თამრიკო. მან ტარას შევჩენკოს ლექსების კითხვით დაატყვევა ივანი, ამიტომაც იგი თვალს არ აშორებდა გოგონას.

მწუხრის ბინდი ჩქარა წვებოდა. იგრძნობოდა აპრილის ღამის სიგრილე.

გივი მეგობარს ხელს აშველებდა და თან ბუბუნებდა:

— ახლა კი დაინახავ, როგორ ილაპარაკებს ქართველობა თავის სატკივარზე. ესენი შენი გნილიკები როდია, ივან. თუ საჯაროობაა, საჯაროობა იყოს, თუ დემოკრატიაა, დემოკრატია... აღტაცებული ივან ბურზა გრძნობდა რაღაცნაირი ამაყი ძალის მოზღვავებას და მას ახარებდა ეს ძალა, რადგან სწამდა, რომ თვითონაც ამ დიადი ერთობის ნაწილი იყო.

ივანი მარტო იმასღა ნანობდა, რომ ქართული არ ესმოდა. ეწადა კი გვერდით მყოფთა სიტყვით, ფიქრით, მღელვარებით გამსჭვალულიყო. ომის, განსაკუთრებით ხელჩართული ბრძოლების გამოცდილებიდან ივანმა იცოდა, რომ ასე მუშტად შეკრული ადამიანები საშინელ ძალად იქცევა. იქნებ ამიტომაც ეშინოდათ გერმანელებს ყველაზე მეტად ხელჩართული ბრძოლებისა. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში: იგონებდა ომს, სოფელს, კლუბში გამართულ კრებას. ხალხით გაჭედილი მოედანი კი ბორგავდა და გუგუნებდა.

ჩართეს ხმამაღლა მოლაპარაკეები. ზღვა ჩაცხრა და იმავე წამს უცვალავი სანთელი აინთო. ივანი ჩვეულებისამებრ საზეიმო მიტინგს ელოდა, მაგრამ მისდა გასაოცრად უკლებლივ ყველამ ჩაიმუხლა, მხოლოდ ის და გივი ხელიხელჩაკიდებულნი დარაჯებივით იდგნენ ცეცხლოვანი ტალღების ზემოთ. ყველაფერი ისე საოცრად შერწყმოდა ერთმანეთს, რომ ივანს მოეჩვენა, ამ სანთლებით გადაჩირაღდნებულ უკიდეგანო ოკეანეში რომელიღაც თეთრი კუნძულისკენ მივცურავთო.

ხვდებოდა, რომ მოულოდნელი და საშინელი რამ უნდა მომხდარიყო. თვალწინ უცაბედად დაირხა მოლაპლაპე სანთლები, მოედანმა დაიკვნესა და გულისშემძვრელმა გრიალმა გააპო ღამე. მან იგრძნო, როგორ შექანდა უწმინდესი ლოცვით გამთლიანებული და მუხლმოყრილი ხალხის ტალღა, როგორ გადაუარა მოედანს ადამიანთა ყვირილმა და მოთქმა-გოდებამ. ველურმა შემოტევამ გივი და ივანი ერთმანეთს დააშორა, მძლავრი ნიაღვარი გამალებით მიაქანებდა მათ მოედნის სხვადასხვა მხარეს და არნახულ ქაოსში ითრევდა.. .ადამიანთა სხეულები შეტორტმანდა და ივანს მკერდზე მოაწვა. იგრძნო, როგორ ჩაემტვრა მარცხენა ჯიბეში სათვალე, როგორ აჭრიალდნენ პროთეზები... სულ ახლოს ღმუილით აზანზარებდნენ გაზაფხულის ჰაერს მძლავრი ძრავები. შხამიან, მახრჩობელა კვამლში აღწევდა ფარების თვალისმომჭრელი შუქი. მისავათებული ივანი ხედავდა ჯავშანტრანსპორტიორთა გლუვშუბლიან კონტურებს, რომლებიც პირდაპირ ხალხისკენ მოემართებოდნენ. მათ მსუბუქი ნაბიჯებით მოჰყვებოდნენ მტკიცედ ორგანიზებული ველური, სახეგაქვავებული ფიგურები და უხმოდ იქნევდნენ უშველებელ ხელჯოხებს. ივან ბურზა ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა დაინახა, როგორ გაიელვა რაღაც საგანმა და ვილაცის მოხრილ, უმწეო ზურგს მოხვდა, იცნო ჯარისკაცის ხელში მესანგრის ნიჩაბი. მრისხანედ მოელვარე ათეულობით ბასრი ნიჩაბი ხვდებოდა ადამიანთა მხრებსა და თავებს.

ბურზას, რომელსაც ომში ყველაფერი ენახა, ტანში სიცივემ დაუარა.

— შესდექით! — იყვირა მან, — რას შვრებით, არაკაცნო? შეს-დექით!

მაგრამ მის ჩახლეჩილ ხმას არავინ უსმენდა. ჯავშნიანი მანქანების გუგუნით დაშინებული ხალხი ახალი ძალით შეტორტმანდა და ივანი რაღაც მყარს მიაწყდა. იმსხვრეოდა დროშის ტარები, ძირს ცვიოდა ტრანსპარანტების წითელი ტილოები, ზემოთ კი ხელჯოხებს ბრაგაბრუგი გაჰქონდათ. ისმოდა გადაძახილები, წყევლა-კრულვა, იყო მუშტების ქნევა და მოთქმა-გოდება, ზღუდესთან მიმწყვდეულ ივანს საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩებს ურტყამდნენ. იგი მიხვდა, რომ გონს კარგავდა, ამიტომ ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა თავში, ოღონდაც არ დავეცემოდე, ოღონდაც არ დავეცემოდეო...

და სწორედ მაშინ ჩაესმა გივის საშინელი ხმა, რომელიც მხეცისას უფრო წააგავდა:

„თამ-რი-კო! თამ-რი-კო!“

ივანმა მთელი ძალით გაიწია იქით, საიდანაც ის ხმა მოდიოდა, მაგრამ ვერაფერი მოასწრო! გაიჩხაკუნა მომცრო ბალონმა და ირგვლივ მოტკბო-მომწარო სუნი მიმოაფრქვია. თითქოს თვალებში დანაყილი მინა შეაყარესო, სუნთქვა შეეკრა, მის წინ შავი უფსკრული განიხვნა და თან ჩაიტანა.

ივან ბურზას არ გაუგია, როგორ გაიღრჭიალა ზურგსუკან რკინის ღობემ, როგორ დაეცა პირაღმა, როგორ დააბიჯა ვილაცამ ხელებზე, მკერდზე, სახეზე, როგორ ჭრაჭუნებდნენ დამფრთხალ ადამიანთა ფეხებქვეშ მისი პროთეზები, როგორ ეფლითებოდა ტანზე სამოსი, როგორ მიგორავდა მოედანზე ფაშიზმზე გამარჯვებისათვის მიღებული საიუბილეო მედალი, როგორ გადაუარა ბებერი თბილისის გასისხლიანებულ მოედანს ასობით ადამიანის კვნესამ და ქვითინმა.

მხოლოდ მეშვიდე დღეს მოვიდა გონზე ივან ბურზა ქალაქის საავადმყოფოში, მაგრამ სად და ვისთან იყო, ვერ გაეხსენებინა. ხელები დაბანდული ჰქონდა, სახეზე რაღაც მძიმე და სველი საფენები ედო, აუტანელი ტკივილი უმსჭვალავდა მკერდს, თავსა და თვალებს.

სახვევები თვალებიდან ერთი კვირის მერე მოუხსნეს, მაგრამ მაინც ვერაფერს ხედავდა. მან დიდი ძალისხმევით ასწია მძიმე, გასიებული ქუთუთოები და შაოსან სილუეტში ძლივს იცნო გივი კეცხოველის მეუღლე. მას უკვე ცრემლები გაშრობოდა, გამხმარ-გაშავებული სახე გაქვავებოდა, თვალისდაუხამხამებლად შეჰყურებდა ივანს.

— ლელა ხარ? — ჩაიჩურჩულა ივანმა და მის ხსოვნაში მხოლოდ ახლა გაცოცხლდა, სანთლის ენებად ალაპლაპდა ყველაფერი, რაც მოხდა.

— ლელა... გივი სადაა? რამე ხომ არ დაემართა?

ლელა დუმდა და სახეზე ერთი ნაკვთიც არ უკრთოდა.

— ლელა, გივი სადაა? — მთრთოლვარე ბაგეებით გაიმეორა ივანმა.

ლელამ მშრალი, უსასოო ხმით ჩაიჩურჩულა:

— იგი თამრიკოსთან ერთად შორსაა... უკვე ძალიან შორს...

* * *

ივან ბურზა სადგურიდან შინ ფეხით ბრუნდებოდა. პირმოკუმული ფართო ნაბიჯებს ადგამდა, რათა მოჭრიალე პროთეზებზე შემდგარს წონასწორობა არ დაეკარგა. ციცაბო ბორცვებზე უხვად ჰყვაოდა მაისის ყვითელი ერბოქილები, მაგრამ იგი მათ ვერ ამჩნევდა, თვალწინ საქართველოს შავი დროშები ედგა...

თავისი მომცრო სახლი შორიდანვე იცნო, მაგრამ სიცოცხლეში პირველად არ გახარებია მისი დანახვა. აივანზე ძაძებში ჩაცმული ჭაღარა ზოსკა იდგა. იგი არ გამოქცეულა შესახვედრად, არც კრინტი დაუძრავს. იგი ივანს თითქოს უსინათლო თვალებით შეჰყურებდა. ივანმა ცოლს გვერდი აუარა, შინ შევიდა და რამდენიმე წამში ისევ უკან გამობრუნდა. მას ხელში თავისი ავგაროზი — მესანგრის ნიჩაბი ეკავა.

დილის სიჩუმე სოფლის კლუბთან სასულე ორკესტრმა დაარღვია, რომელიც გამარჯვების დღესასწაულის დაწყებას იუწყებოდა. ივანი ბებერ თელას მიუახლოვდა, მთელი ძალ-ღონით მოიქნია თავისი ავგაროზი და ისე ხეთქა, რომ მესანგრის ნიჩაბი ნამსხვრევებად იქცა, თითქოს ყინულისა იყოო. ტარის ნატეხი სარეველებში მოისროლა და თვითონ პროთეზების ჭრიალით ჭიშკრისკენ გასწია.

— შენ, საით, ივან, პარადზე?

— ომში მივდივარ! — მრისხანედ შეუღრინა ივანმა და რკინის მტკიცე ნაბიჯებით გასწია იქით, სადაც სასულე ორკესტრი უკრავდა...

უკრაინულიდან თარგმნა
რაულ ჩილაჩავამ.

1 გნილიკი უკრაინულად დამპალს ნიშნავს — მთარგ. შენიშვნა.



ინთება რამპის ჩირაღდნები

# თეატრის აქტუალური პოზიცია

[illegible]

... ლზე აქტუალურია. საუკუნენახევარზე მეტი ხნის წინათ დაწერილ პიესას დღესაც არ დაუკარგავს ზნეობრივ-აღმზრდელობითი ძალა. როგორც ცნობილია, კომედია მიმართულია გონებრივი გაყინულობის, სულიერი დაცემის, უკუნეთის წინააღმდეგ. ნაწარმოების კონფლიქტს ქმნის ორი მსოფლმხედ- [illegible] ... ძალაუფლების გაიდეალებას ემსახურება და ემყარება ფარისევლობას, მლიქვნელობას, სიცრუეს, ჩაცკის სახე კი თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის არსის, მისი თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლი გმირია. ჩვენ შევეცადეთ მთელი სპექტაკლი წარმოგვედგინა, როგორც თვითმპყ- [illegible]

მოსკოვური დღიურები

## მხატვრის ფერადი სიზმრები

**ძველ** არბატზე, საქართველოს კულტურული ცენტრის „მზიურის“ საგამოფენო დარბაზში გახსნილია მხატვარ რ. ნაროუშვილის ნამუშევრების გამოფენა. ეს ექსპოზიცია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და მოსკოვში საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის თაოსნობით მოეწყო. როგორც ცნობილია, გახსნის დღიდან კულტურის ცენტრი „მზიური“ მოსკოველებს და მის მრავალრიცხოვან სტუმრებს ყოველ ორ თვეში ერთხელ ახალგაზრდა ქართველი მხატვრების შემოქმედებას აცნობს.

მხატვარ რ. ნაროუშვილის ვერნისაჟმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. მათ ხიბლავთ პასტელში გაცოცხლებული „გაორება“, „დაბადების დღე“, „ფიროსმანი“, „მარინე“, „ჭაბუა ამირეჯიბი“... აქვეა სკულპტურული ნამუშევრები „ვაქა-ფშაველა“, „დიალოგი“, „დედა და შვილი“, სერიალი „საქართველო“ და სხვანი.

გაზეთმა „სოვეტსკაია კულტურამ“ კარგი შეფასება მისცა ქართველი მხატვრის ხელოვნებას: „თუ კი წარმოიდგენთ „ფერად სიზმრებს“ (ასეთი პოეტური სახელი აქვს ვერნისაჟს), იმ წამსვე წარმოგიდგებათ პასტელი — უნაზესი, ოდნავ დაორთქლილი ტონებით, ჰაეროვანი და არამქვეყნიური, გამოფენის საუკეთესო ნამუშევარია „ევროპის მოტაცება“. აი, რა გავიფიქრე: ძველი სიუჟეტები ცხოვრობენ თანამედროვე მხატვრების ქმნილებებში დღევანდელი კროლვით და რა უსაზღვროა მათი პლასტიკური ენის მოძრაობა“, — წერს გაზეთის კორესპონდენტი, ხელოვნებათმცოდნე ნ. დანილევიჩი.

## ხელოვნის გზები

**ხანგრძლივი** საგასტროლო და შემოქმედებითი მოგზაურობიდან დაბრუნდა დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი. აი, რა გვიამბო მან:

„თვე-ნახევარი ვიყავი შოტლანდიის დედაქალაქ გლაზგოში, სადაც დავდგი სტრავინსკის „პეტრუშკა“. შემდეგ გავემგზავრე საფრანგეთში, კერძოდ ქალაქებში: ამიენში, გოშში, კრეილსა და პარიზში, სადაც, ჩემი დირიჟორობით, ადგილობრივ სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად შესრულდა ონეგერის, როსინის, ბარტოკის და ჩერეპნინის ქმნილებები. ალსანიშნავია, რომ ა. ჩერეპნინის სიმფონიურ ნაწარმოებს „ქართული სიუიტა“ ჰქვია და სავსეა ქართული კოლორიტული ინტონაციებით. ა. ჩერეპნინის მამა ხომ რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისის კონსერვატორიის რექტორი იყო, შემდეგ იგი პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. აქ, ქართული ხალხური სიმღერების გამოყენებით, კომპოზიტორმა შექმნა სიმფონიური ნაწარმოები, რომელიც ჩვენი საუკუნის 30-40 წლებში დიდი წარმატებით სრულდებოდა საფრანგეთში...“

სასიხარულოა, რომ ქ. გლაზგოს საოპერო დასმა ვ. მაჭავარიანი მიიწვია ხანგრძლივი ხელშეკრულებით. ქართველი დირიჟორი წლეულს ნოემბერში შოტლანდიას ეწვევა და მაისამდე დარჩება. იქ უნდა დაიდგას ბარტოკის ოპერა „ლურჯწვერა ჰერცოგის სასახლე“ და სტრავინსკის „ოიდიპოს მეფე“. ასევე დაგეგმილია პუჩინის „ტოსკას“ და ჩაიკოვსკის „პიკის ქალის“ დადგმაც. შემდეგ ვ. მაჭავარიანს ელის ტურნე დიდი ბრიტანეთის ქალაქებში: ედინბურგში, მანჩესტერში, ნიუკასლში, ლივერპულსა და ლონდონში. ლონდონის ეროვნულ თეატრში ვ. მაჭავარიანი მონაწილეობას მიიღებს „ტურანდოტის“ დადგმაში. 1990 წლის მარტში გლაზგოში სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის მხატვრული ხელმძღვანელი ო. ვინოგრადოვი დადგამს კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის „ვეფხისტყაოსანს“, სცენოგრაფია თ. მურვანიძე, სპექტაკლს უდირიჟორებს ვ. მაჭავარიანი.

ქართველი დირიჟორის მონაკოში ყოფნის დროს მას ნამდვილი ქართული სტუმართმოყვარეობით დახვდა მონაკოს პრინცესა კაროლინა. „კომუნისტის“ მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ ამის შესახებ პატარა ინფორმაცია ფოტოსურათით. პრინცესა კაროლინა თავის ქვეყანაში კულტურულ ცხოვრებას განაგებს და მისი დიდი სურვილია თავის საბალეტო დასთან ერთად ჩამოვიდეს საქართველოში...

**დავით მაჭავარიანი.**
ქ. მოსკოვი.





შემოდგომის მოტივები. სიმონ კილაძისა და საქინფორმის ფოტო.

## ამინდი

**დღეს** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი. წვიმა, ზოგან მნიშვნელოვანი, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 15-20, მთაში 11-16, მაღალმთიანეთში 4-9 გრადუსი.

**აღმოსავლეთ** საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტეს რაიონებში წვიმა, ზოგან ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან კი 17-22 მეტრი წამში.

ტემპერატურა — ბარში 16-21, მთაში 9-14, მაღალმთიანეთში 5-10 გრადუსი.

**თბილისში** — ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით წვიმა, ჩრდილო-დასავლეთის ქარი, 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში.

ტემპერატურა — 19-21 გრადუსი სითბო.

კონტაქტები

# გავდოთ მშვიდობის ხიდები

**„უკეთ გავიცნოთ ერთმანეთს“ — ფიქრობენ ამერიკელები**

**დღე** ერთია და, მრავალი უცხოელი სტუმარი შემოაღებს ხოლმე საქართველოს კარს.

ზოგი უბრალოდ მოგზაურია, სხვათა ქვეყნების ხილვის მოტრფიალე; ზოგსაც ჩვენთან სიახლოვე, საქმიანი ურთიერთობა სწადია და თანამშრომლობას გვთავაზობს, სხვანი კი მშვიდობის დამყარების, განმტკიცების მიზნითა და მისიით დადიან ამქვეყნად.

ამაზე კარგი რა უნდა იყოს, კეთილ მეგობარს რა შეედრება.

ვინ რას გვთავაზობს, ვინ რას გვირჩევს: ეს — ერთობლივი საწარმოების შექმნაო, ეს — ნაირნაირი საფირმო სალონებიო, ეს — სპეციალისტთა, სტუდენტთა გაცვლა-გამოცვლა, გამოცდილების გაზიარებაო.

და აი, ახლახან, თბილისს კიდევ ერთი დელეგაცია ესტუმრა. საქართველოში ამჯერად ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ კაროლინას შტატის სამშვიდობო ორგანიზაციის „მშვიდობის ხიდების“ წარმომადგენლები ჩამოვიდნენ.

მასპინძლებმა, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრებმა სტუმრები, მათი თხოვნისამებრ, ოჯახებში დააბინავეს. ასე უკეთ გავიცნობთო ერთმანეთს, ფიქრობენ ამერიკელები, და მართალიცაა. ეროვნულ ყოფას, ყოველდღიურობას, ხასიათს, ოფიციალურ შეხვედრებსა და წინდაწინ დაგეგმილ ექსკურსიებზე უფრო, ერთ ჩვეულებრივ ოჯახში შეიგრძნობს კაცი. ასეც მოხდა. საქართველოში ყოფნის მანძილზე სტუმარ-მასპინძელთა შორის მეგობრობამ მტკიცედ გაიდგა ფესვები. ეს აშკარად იგრძნობოდა იმ შეხვედრაზე, რომელიც რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტში მოეწყო და რომელსაც უკვე დაახლოებული და დამეგობრებული ადამიანები ესწრებოდნენ.

დიახ, აქ იყო შინაურული ატმოსფერო, ინტიმური საუბრები, ღიმილი, ალერსი. და როცა საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა ყოველ მონაწილეს საკუთარი აზრის გამოთქმა სთხოვა, ამერიკელებმაც არ დააზნეს: — გვსურს ჩვენს ქვეყანაში ქართული კულტურის პროპაგანდა გავწიოთ;

— საამისოდ ჩრდილოეთ კაროლინას მწერალთა ასოციაცია უკვე მზადაა: იგი თავის ჟურნალში გამოაქვეყნებს ქართველ მწერალთა, პოეტთა ნაწარმოებებს;

— შეგვიძლია ჩვენს გამომცემლობაში გამოვცეთ თანამედროვე შემოქმედთა მოთხრობები, ლექსები;

— გვინდა სისტემატურად ვაწარმოოთ სტუდენტთა გაცვლა (სხვათა შორის, შეხვედრის დროს ამგვარი სურვილი გამოთქვა ერთმა ამერიკულმა ოჯახმა, ერთ ქართველ სტუდენტს მივიღებთ და ვასწავლით კიდეცო);

— ქართული და ამერიკული კულტურის, ეთნოსის უკეთ გასაცნობად მოვიწვიოთ სხვადასხვაგვარი შემოქმედებითი კოლექტივები;

— აუცილებელია სამეცნიერო ხასიათის გაცვლებიც: თქვენს ეკონომიკურ რეფორმას უთუოდ წაადგება ჩვენი ბიზნესის შესწავლა (საამისოდ უკვე შეიქმნა ასოციაცია „ბიზნესი მშვიდობისათვის“)...

მოკლედ, შეხვედრაზე მრავალი სურვილი, წინადადება გამოითქვა და ვახტანგ რჩეულიშვილმაც ყოველი მათგანი ყურადღებით მოისმინა, გულდაგულ ჩაიწერა, ზოგ საკითხზე იქვე გასცა პასუხი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თქვა მან, თბილისში სპეციალური კოლეჯის შექმნა, სადაც ინგლისური ენის ზედმიწევნით შესწავლასთან ერთად, მოხდება ამერიკული კულტურის გაცნობაც.

ამ სახელდახელო შეხვედრაზე ისიც შევიტყვეთ, რომ მეორე დღეს, დილით სტუმრები სამშობლოში ბრუნდებოდნენ და ამ[illegible] ემზადებოდნენ, დრო გასაფრთხილებლად არ [illegible] მასპინძლებმა სტუმრებს ხელი ჩაჰკიდეს და...

ეს კია, ისევ ბატონ ვახტანგს „ჩავუსაფრდით“, რომელიც ამერიკელთა ალყაში მოექცა და შეკითხვებს ვერ აუდიოდა. სწორედ მისგან შევიტყვეთ დაწვრილებით, რომ „მშვიდობის ხიდების“ ჩრდილოეთ კაროლინას განყოფილებასა და საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც სისტემატურად მოეწყობა ამ ორი ქვეყნის საქმიანი ჯგუფების გაცვლა. მანვე გვითხრა, რომ ამერიკელები ახლო მომავალში გამოგზავნიან სპეციალისტთა ერთ ჯგუფს, ისინი თბილისში წაიკითხავენ ლექციებს, ჩაატარებენ სემინარებს მცირე და საშუალო ბიზნესის, აგრეთვე კომპიუტერული სფეროს შესახებ. შესაბამისად, ამერიკაში, ჩრდილოეთ კაროლინაში მიიწვევენ ქართველ მეცნიერებს, მოღვაწეებს ჩვენი კულტურის უკეთ გაცნობისა და დაახლოებისათვის...

საქართველოში ყოფნისას სტუმრებმა მოინახულეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, შეხვდნენ მწერალთა კავშირის, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და ა. შ. ხოლო საქართველოს უძველეს ქალაქში — მცხეთაში — სტუმრობისას წამოიჭრა საკითხი ამ ქალაქისა და ჩრდილოეთ კაროლინას ერთ-ერთი საგრაფოს დაძმობილების შესახებ.

„გავდოთ მშვიდობის ხიდები ჩვენს შტატსა და თქვენს რესპუბლიკას შორის“, — ასე დაგვემშვიდობნენ ამერიკელი სტუმრები ბოლოს და სამშობლოში წარიტანეს ქართული შემოდგომის სითბო, ეშხი და ლაზათი.

**სოსო ბალაშვილი.**

სპორტის ამბები

# შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

**1989 წლის 6 ოქტომბერი.** ეს თარიღი, ეჭვგარეშეა, გამორჩეულ ადგილს დაიჭერს ქართული სპორტის ისტორიაში. გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელსაც 377 დელეგატი ესწრებოდა. დელეგატთა შორის იყვნენ საქართველოს ოლიმპიელები, რესპუბლიკის გამოჩენილი სპორტსმენები და სპორტის ვეტერანები, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები, სპორტული ფედერაციების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

დამფუძნებელმა კონფერენციამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის შესახებ. კომიტეტის პრეზიდენტად აირჩიეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ათ საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

— მინდა ყველას მივულოცო ეს ღირსსახსოვარი დღე, — თქვა ნონამ, — მადლობას მოვახსენებთ დელეგატებს დიდი ნდობისათვის. წინ უამრავი საქმე მოგველის. ვიმედოვნებთ, ჩვენი კომიტეტი თავს გაართმევს ყველა სიძნელეს და მიაღწევს საერთაშორისო აღიარებას.

**გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 10 ოქტომბერს.**

### მიმართვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შემოსულია მრავალი წერილობითი და ზეპირი განცხადება თბილისის შემოგარენში საბაღე სახლების მშენებლობის გამო. განცხადებებში აღნიშნულია, რომ დედაქალაქის შემოგარენში ნადგურდება ტყეები, ზიანდება რელიეფი, იკარგება სავარგულები, ისპობა ქალაქის მშრომელთა დასასვენებელი ზონა.

ამასთან დაკავშირებით შექმნილია კომისია, რომელიც სწავლობს აღნიშნულ განცხადებებში დაყენებულ საკითხებს.

კომისია მიმართავს საქსახაგრომრეწვს, მცხეთის, გარდაბნის, თეთრიწყაროს რაიაღმასკომებს, კოლექტიური მებაღეობის საკოორდინაციო საბჭოს და კოლექტიურ ამხანაგობებს, რომ დღეიდან, კომისიის მუშაობის დამთავრებამდე და დასკვნის წარმოდგენამდე, დროებით შეწყდეს ყოველგვარი სამუშაოები საბაღე ნაკვეთების ათვისების ყოველ ეტაპზე (ადგილის შერჩევა, პროექტირება, გამოყოფა-გამიჯვნა, ნაკვეთების ათვისება და საბაღე სახლების მშენებლობა) თბილისის შემოგარენში.

**თამაზ გოკიელია,**
კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

**რედაქტორის მოადგილე მ. უგრეხელიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, პარტიული კომიტეტი და პროფკავშირის კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის პასუხისმგებელი მუშაკი

**მერაბ ალექსანდრეს ძე ესვანჯია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

## ორშაბათი

**9 ოქტომბერი.**

**პირველი პროგრამა.** 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — დოკუმენტური ფილმი. „მომავლის მისალწევად“. 15.15 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „შენი ირენა“. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — მოსწავლეთათვის რუსული ენა. 16.35 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბზიანეთი“. 17.05 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.35 — „თვალსაწიერი“. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 18.45 — პროფტექგანათლების ხვალინდელი დღე. 19.30 — განცხადებები. 19.35 — ქართული ლიტერატურის ისტორია (გადაცემა მეხუთე). 20.00 — მოამბე. 20.40 — გარდაქმნის ნახნაგები. 21.00 — აქტუალური ინტერვიუ. 21.20 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 22.50 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი. „თუში მეცხვარე“. I სერია.

**მეორე პროგრამა.** 16.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „უკანასკნელი დღე“. I და II სერია. 18.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სინიუშკას ჭა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ცაცია“.

## სამშაბათი

**10 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამა.** 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 14.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.50 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“. I სერია. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მაღლა მთას მოდგა“. 17.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.05 — განცხადებები. 18.10 — მოსწავლეთათვის. „მათი გატაცება“. 19.05 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ“. 21.45 — ჩვენი პრემიერა ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერი“ (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ VI სერია.

**მეორე პროგრამა.** 16.05 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ამხანაგი ბრიგადა“. I და II სერია. 18.15 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 19.00 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ალი“. 20.00 — მოამბე. 20.40 — მხატვრული ფილმი „დაუმორჩილებელი“.

## ოთხშაბათი

**11 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამა.** 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 14.20 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ მეორე სერია. 15.25 — დოკუმენტური ფილმი „1000 წელი და 3 დღე“. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.35 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გედის სიმღერა“. 17.05 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.35 — დოკუმენტური ფილმები „ბედის საათი“ და „ვარჩიოთ სიცოცხლე“. 18.25 — განცხადებები. 18.30 — „ჩვენი სტუმრები“ — ტელეინფორმატიკა-89. 19.25 — „ადამიანი და მორალი — „ერთი დანაშაულის კვალდაკვალ“. 20.00 — მოამბე. 20.35 — რაც აწვალებდა ცოტნე დადიანს. 21.10 — სტუდია დიალოგი. 22.00 — „ვრემია“. 21.40 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ III სერია.

**მეორე პროგრამა.** 16.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ნინო“. 17.25 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 18.10 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკან დასახევი გზა მოჭრილია“. I სერია. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკან დასახევი გზა მოჭრილია“.

## ხუთშაბათი

**12 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამა.** 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 14.20 — ათლეტიზმი. 14.50 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია.

**საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა**

15.20 — საინფორმაციო გამოშვება. 15.30 — მრავალსერიიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ III სერია. 16.45 — აბიტურიენტთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.15 — დოკუმენტური ფილმი „ხელშეკრულება“. 18.15 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.30 — განცხადებები. 18.35 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი. 19.00 — ალტერნატიული საათი. 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 20.50 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო“ მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი. 21.30 — „მღერის ნათელა ტუღუში“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ძვირფასო, ელენე სერგეევნა!“.

**მეორე პროგრამა.** 16.05 — მხატვრული ფილმი „ეშმაკს მახეს ნუ დაუგებ“. 17.20 — მოსწავლეთათვის. „ჰიგიენა და ჯანმრთელობა“. 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 18.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უკან დასახევი გზა მოჭრილია“. III სერია. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი. შესვენების დროს — მულტიპლიკაციური ფილმი. 21.30 — მოკლემეტრაჟიანი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსაჯი“.

## პარასკევი

**13 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამა.** 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — კინოჟურნალი „ერალაში“. 14.30 — მხატვრული ფილმი „ცაცია“. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი“. 16.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ქართული საჭურველი“. 17.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ჯანმრთელობის ფორმულა, ანუ...“. 18.15 — უფროსკლასელთათვის. საქართველოს ისტორია. 18.45 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოსნური კვერცხი“. 18.55 — განცხადებები. 19.00 — აქტუალური ეკრანი. 20.00 — მოამბე. 20.35 — ძილისპირული. 21.50 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი. 21.30 — ფართოვდება საქართველოს საქმიანი კონტაქტები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „სად არის ნოფელეტი“.

**მეორე პროგრამა.** 16.05 — მხატვრული ფილმი „ძვირფასო, ელენე სერგეევნა“. 17.35 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა. 18.20 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა: 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბი. შესვენების დროს კინოჟურნალი. 21.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „იულკა, ვასკა და სხვები“.

## შაბათი

**14 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამა.** 9.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ათლეტიზმი. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — „ვერნისაჟი“ — ალიარების დიდი გზა (განმეორებით). 11.50 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 11.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დედა თინა“. 12.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.15 — ხალხური შემოქმედება „რაღაც უნდა გადარჩეს“. 12.35 — დოკუმენტური ფილმი „დიდი ილუზია“. 12.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.00 — ახალი სასწავლო წლისათვის პოლიტგანათლების სისტემაში. 13.30 — მოსწავლეთათვის. მუსიკალური გადაცემა. 14.10 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 14.15 — საინფორმაციო გამოშვება. 14.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.25 — ბუნების კარი. 15.10 — სატელევიზიო დადგმა „მდგმურები“ (განმეორებით). 16.10 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.55 — „ვმსჯელობთ სოფელზე“ გლეხური მეურნეობები. 17.55 — გახსენება „ჯემალ თოფურიძე“. 18.35 — „ქართული ცეკვა იტალიაში“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — აქტუალური ეკრანი. 22.50 — სპორტული პროგრამა „45 წუთი“. 23.50 — „მსოფლიოს ესტრადის ვარსკვლავები“.

## კვირა

**15 ოქტომბერი**

**პირველი პროგრამა.** 9.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.05 — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 11.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ღვინის ქურდები“. 12.00 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.30 — კინოაფიშა. 13.00 — საკვირაო გამოფენა. ქ. მაღალაშვილი. 13.05 — მოუარეთ საქართველოს“ (განმეორებით). 13.50 — „კინოს სამყაროში“. 15.20 — საკვირაო გამოფენა. ქ. მაღალაშვილი. 15.25 — „ვესტნიკი“. 15.55 — ერთი მსახიობის თეატრი: გ. რჩეულიშვილი — „სალამურა“. 16.15 — საკვირაო გამოფენა. ქ. მაღალაშვილი. 16.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.35 — „ფილმის შუქ-ჩრდილი“. ქართული მხატვრული ფილმი „ქალაქი ანარა“. 18.05 — ახალგაზრდობისათვის. „ამიერკავკასიური ცარცის წრე“. 18.20 — „ნეტავი შვილთა მრავალთა“. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. „მზეს უმღერიან მიწიდან კაცნი“. 20.55 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. მოსკოვის ლოკომოტივი — თბილისის დინამო. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ილუზიონი“.

## შაბათი, 7 ოქტომბერი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 9.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 10.00 შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — ათლეტიზმი. 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — „მე თქვენი ხმა ვარ“. ანა ახმატოვა (განმეორებით). 12.25 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სოფლის აშიკი“. 13.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — „ერთი სიმღერის ფესტივალი“. 13.10 — ახალგაზრდობისათვის. „მღერის ანსამბლი „ფატი“ (განმეორებით). 14.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.25 — სამეჯლისო ცეკვების ფესტივალი „ცისა ფერს“. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ორმო“. 16.25 — „ერთი სიმღერის ფესტივალი“. 16.30 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.35 — „გზა კეთილი, საშვილიშვილო“. 18.35 — ხელოვნების ლექტორიუმი. ნიდერლანდური ხელოვნება (გადაცემა მეორე). 19.05 — ლიტერატურული გადაცემა „ჭოლა ლომთათიძე“. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „განვიხილავთ საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტს“. 21.15 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ღამე“ (პირველი ჩვენება). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — ილუზიონი.

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები“. 9.30 — ჩვენი ბაღი. 10.00 — უკრავს ი. ოისტრახი. 10.35 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 11.35 — გდრ-ს ტელევიზიის პროგრამა. 13.05 — მულტიპლიკაციური ფილმი. 13.25 — სოციალიზმის ქვეყნებში. 13.55 — ფოტოკონკურსი. 14.00 — მოსკოვის სამხედრო ოლქის საბრძოლო დამრიგებელთა შეკრება. 15.00 — ცხოველთა სამყაროში. 16.00 — „მეგობრობის მერიდიანები“. საერთაშორისო მუსიკალური პროგრამა გდრ-დან. 17.05 — საბავშვო ფილმი „დილაადრიან“. 18.40 — საერთაშორისო პროგრამა „პლანეტა“. 19.40 — რეჟისორ ლ. პჩელკინის ფილმები. მხატვრული ტელეფილმი „გული ქვა როდია“. I და II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — ალა ბაიანოვას კონცერტზე.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სოფლის საათი. 10.20 — „ახალი კიბიტის დღესასწაული“. გადაცემა ელისტიდან. 10.50 — მულტფილმები. 11.20 — პროგრესი. ინფორმაცია. რეკლამა. 11.50 — მცირე კონცერტი. 12.05 და 15.00 — ახალი ამბები. 12.15 — „ტარასის გზები“. გადაცემა მეხუთე. — „ნევაზე“. „დაბრუნება“. 13.45 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ვიტია გლუშაკოვი — აპაჩების მეგობარი“. 15.10 — უფროსკლასელთა ლიტერატურული თამაში „სახე“ (განმეორებით). 16.25 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 17.10 — მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. 18.00 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება. 18.10 — მ. ი. ლერმონტოვი. „ტამბოველი ხაზინადარი“. კითხულობს მ. კოზაკოვი. ფილმ-კონცერტი. 18.50 — კინოჟურნალი „შორეული აღმოსავლეთი“. 19.00 — ჰოკეი. რიგის „დინამო“ — მოსკოვის „დინამო“. შესვენებებზე, „ჩვენი გამოსვლების კვალდაკვალ“. „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „II“ ნიშნით. პირველი ნაწილი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „II“ ნიშნით. მეორე და მესამე ნაწილები. შესვენებისას (0.10) — ექო: კვირის მოვლენები. 0.55 — ევროპის ჩემპიონთა თასი წყალბურთში. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცსკა — „პოსილიპო“ (იტალია).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10521 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14